პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელს ოთხშაბათი 29 ივლისი № 174 (18116) ფასი 2 კაპ.

ДЛЕС ЩАМОРЩЕНИЛИ САВАРМО. ЕВАЛ — САНИМУМО ХАРЕНА

ЕАШУРИС МИНИС ТАРИСА

0,5 ლიტრი ტევადობის ჩვეულებრივი მინის ბოთლი შეიძლება გახდეს „დაბრკოლების ლოდი“ მრეწველობის მთელი დარგისთვის. რა თქმა უნდა, ერთი კი არა, არამედ მილიონობით ბოთლი, როცა საქმე ეხება ინდუსტრიის ისეთ მძლავრ დარგს, როგორიც რეს-პუბლიკის კვების მრეწველობაა. ჩვენი კვების მრეწველობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა ზრდიდეს მთელ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში განთქმული მინერალური და ხილის წყლების გამოშვებას, მინის ტარის დიდ დეფიციტს განიცდის. სწორედ ამ გარემოებისა და დარგის ნორმალური განვითარების გათვალისწინებით განხორციელდა კიდეც ხაშურის მინის ტარის ქარხნის რეკონსტრუქცია და იგი სრული სიმძლავრით ამოქმედდა შარშან.

მაგრამ სრული სიმძლავრე არ გამოვიდა. მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა ჩაიფუშა ყველა მაჩვენებლის მიხედვით. შეუსრულებელი დარჩა შარშანდელი გეგმაც. ქარხნის საკვანძო მნიშვნელობამ და საწარმოში შექმნილმა ვითარებამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

26 ივლისს ხაშურის მინის ტარის მძიმე დგანმარეობის შესახებ ბჭობა გაგრძელდა აქ გამართულ თათბირზე. თათბირში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. შექმნილი ვითარების საფუძვლიანმა ანალიზმა, მწვავე კრიტიკულმა განხილვამ ხელი შეუწყო მიზეზთა „ჯაჭვის“ გამოვლენას.

დაპროექტება იმის მაგალითია, თუ როგორ არ უნდა პროექტდებოდეს. უკვე ამ სტადიაში შეიკვეთება — რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტრო (მინისტრი რ. კონცელიძე) და მისი გაერთიანება „საქმინხილწყალი“ (უფროსი ა. ქადაგიძე) მოვალენი იყვნენ გამოეჩინათ შეტი პრინციპულობა და პასუხისმგებლობა დამპროექტებელთა მუშაობისადმი არა მარტო დაპროექტების დამთავრების პერიოდში, არამედ დღენადაგ მისი მიმდინარეობის დროსაც.

მშენებლობაც იმის მაგალითია, თუ როგორ არ უნდა შენდებოდეს. 1973 წელს დაწყებული რეკონსტრუქცია 1980 წლის 29 დეკემბრამდე გაჭიანურდა. თავდაპირველად საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტმა, ხოლო 1976 წლიდან — № 9 ტრესტმა (მმართველი ს. გერგაული) სამჯერ ჩაშალეს დადგენილი ვადები.

საექსპლოატაციო მიღება. 1981 წლის წინ „საქმინხილწყლის“ უფროსის ყოფილმა მოადგილემ ტ. სარიშვილმა, ქარხნის დირექტორმა ნ. ვაშაკიძემ, № 9 ტრესტის მმართველმა ს. გერგაულმა და სახელმწიფო მიმღები კომისიის სხვა წევრებმა ხელი მოაწერეს სამუშაოდ რეკონსტრუირებული ქარხნის მზადყოფნის აქტს. იგი დიდი ზარზეიმით აღინიშნა, მაგრამ კომისიის წევრებმა იცოდნენ, რომ ამის საფუძველი არ ჰქონდათ. 402 ათას მანეთს შეადგენდა იმ სამუშაოთა ღირებულება, რომელთა შეუსრულებლად ქარხანა ნორმალურად ვერ იმუშავებდა. 46 დღიდან ხარვეზი უნდა გამოესწორებინათ 1981 წლის 15 იანვარამდე. ისინი დღესაც არ არის გამოსწორებული და ქარხანას კოლოსალურ მატერიალურ და მორალურ ზარალად უჯდება.

წარმოება. კადრები. ყოფა-ცხოვრება. მარტო უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე მრეწველობას ხაშურიდან არ მიუღია 54,5 მილიონი ბოთლი. ჩამოსასხმელი ქარხნები ამის გამო აფერხებენ წარმოებას. ხშირად მწყობრიდან გამოდის დროებითი, პროექტით გაუთვალისწინებლად სქემებით ამოქმედებული სიმძლავრენი. თანამედროვე ტექნოლოგიური და საერთო-საქარხნო მოწყობილობა ფუჭდება. არ ჰყოფნით ქვიშა, ცეცხლგამძლე მასალები, კვარცი, სოდა, სხვა კომპონენტები.

პარადოქსული ფაქტია: 1980 წლამდე, ესე იგი რეკონსტრუქციის დამთავრებამდე, საწარმო გეგმას ასრულებდა. დღეს კი უბედურებას განიცდის, ქარხანას ტოვებენ მუშები. კოლექტივს არ სწამს საწარმოს ზვალინდელი დღე — ქარხნის საამქროებში ცხელა, მტვერი და ნაგავი, ჰაერი დაგაზიანებულია. ეს ხელსაფფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში იმ სავალალო წარსულ წლებში შექმნილი მდგომარეობის ზუსტი ანალოგიაა. ქარხნის მუშაკთათვის ოთხი საცხოვრებელი სახლის დაგეგმილი მშენებლობა ჩაიშალა.

შედეგი: ქარხანას დღეს აკლია 80 სპეციალისტი, 32 მემანქანე, 30 ელექტროზეინკალი, 20-ზე მეტი ოსტატი, ქარგალი, ბევრი სხვა სპეციალობის მუშა.

„სამინისტროს დიდი ხნის განმავლობაში ქარხნისათვის პრაქტიკული დახმარება არ გაუწევია“, — თვითკრიტიკულად განაცხადა თათბირზე კვების მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ. ქარხნისათვის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მიერ დახმარების გაწევის შესახებ ილაპარაკა პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. დათიაშვილმა.

ხაშურის მინის ტარის ქარხანას ქმედითი დახმარება სჭირდება, რომელის მიზანი ის არის, რომ ქარხანა გახდეს ეტალონი, სანიმუშო საწარმო.

1981 წლის მესამე კვარტალისთვის უნდა აღმოიფხვრას ყველა ნაკლი. თათბირის ეს კატეგორიული მითითება ეყრდნობა სიტუაციის გულდასმითს ანალიზსა და მეცნიერულად დასაბუთებულ გადაწყვეტებს. ქარხნისა და დარგის ხელმძღვანელებს მიეცათ მთელი რიგი საყურადღებო რჩევა-დარიგებანი და მითითებანი, გამოითქვა წინადადება, რომ, კერძოდ, ამ და მონათესავე საწარმოებში გაძლიერდეს სარემონტო-მექანიკური სამსახურები. ზოგიერთ პროფესიულ-ტექნიკურ დაწესებულებაში პირველხანად უნდა გაიხსნას ჯგუფები, ხოლო უახლოეს მომავალში — სპეციალური სასწავლებლები, რომლებმაც უნდა მოამზადონ მუშები მინის მრეწველობისათვის. წარმოების მაღალი ტექნოლოგიური დონისა და ხასიათის გათვალისწინებით, ქარხანას საშეფო მხარდაჭერა და კონსულტაციური დახმარება უნდა გაუწიონ რუსთავის „ავტომატმარეწვის“ ინსტიტუტმა და რუსთაველმა მეტალურგებმა. საერთოდ ეს მარტო მინის ტარის ქარხანასთან დაკავშირებით როდი ითქვა — უნდა გაუმჯობესდეს საექსპერტო საქმიანობა, ამაღლდეს პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური კონსულტაციების ხარისხისათვის.

თათბირზე აგრეთვე განისაზღვრა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დაჩქარების მკაცრი ღონისძიებანი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ქარხნის წარმატების გარანტია იქნება, მხოლოდ იმ პირობით, თუ გადაჭრით გაუმჯობესებს მართვის ორგანიზაციას მისი დირექცია, თუ ქმედითად უხელმძღვანელებენ მას პარტიის რაიონული კომიტეტი, გაერთიანება და სამინისტრო.

სანიმუშო ქარხანა, ეტალონი ქარხანა, დარგში საუკეთესო საწარმო — მისი თითოეული მუშის, თითოეული ხელმძღვანელის საქმეა. და ეს მიზანი აგრეთვე რეალური და მისაღწევია.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშუბექი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. მ. ივანიშვილი. (საქინფორმი).

მაქსიმალურად ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები!

გაფხულის ცხელი დღეები გვაჩქარებს!

ეენახები მოვიარეთ და ხის ქვეშ, ჩეროში შევდექით. უმოწყალოდ აცხუნებდა მზე. ქალები ზვრებში გასულიყვნენ. ახლა ვაზი ყველგან შეელას ითხოვს, შეელას ითხოვს, იგი ხაშურის რაიონის ალის საბჭოთა მეურნეობაშიც. 814 ჰექტარმა მსხმოიარე ზვრებმა წელს ბუნების ყველა ჭირვეულობა გამოსცადა.

საზრუნავი საზრუნავს ემატებოდა. ალელებმა, ეტყობა, დროულად ვერ დაუპირისპირეს სიძლიერეებს შრომის სწორი ორგანიზაცია, მაღალი აგროტექნიკა და ერთსულოვანი შემართება. ამის სამწუხარო შედეგი კი ვაზის ფოთლებზეც აისახა და მტევანზეც — ჭრაქისა და ნაცრის ნიშნების სახით. ძლიერ მეჩხერი ვენახები გაბალახებულია.

ამის თაობაზე სხვა აზრი არც მასპინძლებს აქვთ. — მეურნეობის დირექტორს გ. ხარაზიშვილს და მთავარ აგრონომს გ. ქურდაძეს.

— კი, სიძნელეები იყო, — ამბობენ ისინი. — ახლა მთელი ფრონტით ვცდილობთ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენის აღმოფხვრას. აი, ამ აგროგანყოფილებაში დღეს სმენ ტრაქტორის ვწმალავთ ვენახებს.

— არა, ორით, — ამბობს ტრაქტორისტი და ნოზაძე, — ერთი ხომ გაფუჭებულია...

ეგეც ახალი ამბავი!

გია ნოზაძეს დიდის ეჭვით თუ უწოდებ ტრაქტორიტს. საქმე ისაა, რომ მას არც ტრაქტორისტის მოწმობა აქვს და არც მექანიზატორის რაიმე სპეციალური განათლება, მადლობის მეტი მაინც რა გეთქმის კაცს, მეათეკლასელი ბიჭი მოდის და მეურნეობას ეხმარება მამამისის — ტრაქტორისტ ა. ნოზაძის მაგივრად, რომელიც ტრაქტორიდან გადმოვარდნილა და ახლა საავადმყოფოში მკურნალობს.

მასპინძლები საწვავ-საცხები მასალების უკმარობას უჩივიან არადა, იქვე, ბ. ნოზაძის ტრაქტორი მთელი საათია დგას, ძრავი კი მუშაობს. ამის შემხედვარენი საწვავის ნაკლებობას უჩივიან.

— რატომ არ გამორთავთ ძრავს?

— მერე ძნელად იქოქება, — უდარდელად ეღიმება ტრაქტორისტს.

ზვრებიდან ბრიგადის წევრები ბრუნდებიან. ათიოდე წუთით თავს შეაფარებენ ჩრდილში, სულს მოითქვამენ, წყალს დალევენ.

— ბრიგადირი სადღაა?

— ბარე ოთხი დღე იქნება, თვალი არ მოგვიკრავს, და სადაც ერთოდ, განა ბრიგადირს არ ევალება იცოდეს, რას ვაკეთებთ, როგორ ვმუშაობთ, დღეს რამდენი კაცი გამოვედით, ვინ რა მოცულობის სამუშაო შეასრულა, — აღშფოთებას ვერ მალავენ მუშები.

ამას ვ. გოგოლაძეზე ამბობენ, თერგვისის უბნის ბრიგადირზე.

ბრიგადირის ამგვარ ზეპირ სამსახურებრივ დახასიათებას სტუმრებიც და, უცნაური ის არის, რომ მასპინძლებიც პირველად ისმენენ.

შრომის ორგანიზაციაში აქ ისეთი არეულობა და ქაოსია, თუმცა, ჯობს თავად მევენახეებს მოვუსმინოთ:

ო. ნოზაძე: დღეს სამუშაოდ 12 საათზე მოგვიყვანეს, მანქანა ვერ ვიშოვეთო. ამ დროს მოსული კაცი იმდენს რას გააკეთებს, რომ ვენახს სიკეთის ხელი დაატყოს. ახლა მთელი რესპუბლიკა ზვრებშია გასული და სისხამ დილიდან მზის ჩასვლამდე ვაზს დაჰფოფინებს. ჩვენ კი ნახევარი დღე ვმუშაობთ.

ნ. მაჩაიძე: ხელფასსაც ამის გამო ცოტას ვიღებთ, მაგრამ ვისი მიზეზით? არავითარი აღრიცხვიანობა ბრიგადაში არ არსებობს, მუშებს გვავალებენ — სამუშაოზე გამოსული ხალხს სიები ჩამოწერეთო, თვის ბოლო დღეს ერთიანად შეავსებენ უწყისებს, არავინ უწყოს, ვის რამდენ კაცდღეს გვიწერენ. მაისში 50 მანეთი მივიღე, გასული თვის ხელფასს ჯერაც ველოდეთო.

ქ. ნოზაძე: მეურნეობა თუმცა მევენახეობისაა, ყველაზე უყურადღებოდ მაინც მევენახეებს გვექცევიან. არავითარი მატერიალური სტიმულირება, არავითარი სხვა სიკეთე. მექანიზატორები და მემინდვრეები ყოველდღიურ პრემია-დანამატს ღებულობენ, საკვებმომპოვებლებს უფასოდ კვებავენ, ჩვენ კი ამ სიცხეში ხშირად სასმელი წყალიც. გვენატრება. როდის დადგება დრო, რომ მევენახეებზეც იფიქრონ?

ახლა მთავარია, მეურნეობის ხელმძღვანელებმა დროულად და ოპერატიულად მოიფიქრონ და ისე უპასუხონ მუშა-მევენახეების კანონიერ მოთხოვნებს, ამასთან სასურველია გაზეთის ფურცლებიდან.

და კიდევ ერთი: ალის საბჭოთა მეურნეობა ლამის საუკუნის მეოთხედია, რაც შეიქმნა და ამაში საინტერესო ისაა, რომ თავისი არსებობის მანძილზე სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა ერთხელაც არ შეუსრულებია.

თუ მეურნეობაში დაუყოვნებლივ არ განხორციელდება შრომის, საშემსრულებლო და სხვა ორგანიზატორულ-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებები, ეს უსახელო ტრადიცია არც წლეულს დაირღვევა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დაიკარგა... ბრიგადირი!

მეჩაიეებმა ჩამორჩენა დაძლიეს

ჩაის ნედლეულის დამზადება 28 ივლისისათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები	მოკრეფილი 1980 წლის სეზონის დამდეგიდან	1981 წლის სეზონის დასაწყისიდან მოკრეფილია	+ —
ხელვაჯაურის	12444	13103	+ 660
ქობულეთის	26678	26656	— 22
ქედის	631	847	+ 216
სულ აბაშაში	39753	40607	+ 854
ზესტაფონის	29906	28123	— 1783
ოზურგეთის	22034	22745	+ 711
სოხუმის	520	513	— 7
გულრიფშის	1808	1951	+ 143
გუდაუთის	4045	4771	+ 726
სულ აფხაზეთში	58313	58103	— 210
მახარაძის	55978	56552	+ 574
ჩოხატაურის	8344	8816	+ 472
ლანჩხუთის	16003	16734	+ 731
სამტრედიის	1910	1978	+ 68
წულუკიძის	6264	6732	+ 468
წალენჯიხის ზონა	7144	7375	+ 231
ტყიბულის ზონა	7053	6300	— 753
ცაგერის	8008	8099	+ 91
აბაშის	464	623	+ 159
გეგეჭკორის	16554	15882	— 672
ზუგდიდის	41044	41064	+ 20
წალენჯიხის	19672	18468	— 1204
ჩხოროწყუს	14936	14536	— 400
ხობის	6734	7000	+ 266
თარჯოლის	897	955	+ 58
მცხეთის ზონა	749	833	+ 84
ვანის	540	626	+ 86
სულ საქართველოს სსრ-ში	310360	311284	+ 924

ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი იზრდება

რესპუბლიკის მეჩაიეები ამ დღეებში შარშანდელზე გაცილებით მეტ ჩაის ფოთოლს კრეფენ. ამის წყალობით არის, რომ მათ 924 ტონით გადააჭარბეს ჩაის ნედლეულის დამზადების გასული წლის დონეს. მიუხედავად ამისა, 8 რაიონში ჩამორჩენა ჯერ კიდევ ვერ დაძლიეს. ამის მიზეზები ზოგან ჩაის ფოთლის კრეფის ნელი ტემპია. მაგალითად, ტყიბულის ზონაში, სადაც შარშანდელზე 753 ტონით ნაკლები ნედლეული ჩააბარეს გადამმუშავებელ მრეწველობას, გუშინ გასული წლის ამავე დღესთან შედარებით ცოტა ფოთოლი დაამზადეს. მართალია, დღითიდღე შარშანდელზე მეტი ჩაის ფოთოლი იკრეფება გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებში, მაგრამ აქ ნაკლი ჯერ კიდევ აქვთ ნედლეულის დამზადებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ი. კადარს

სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ი. კადართან. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

27 ივლისს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. კადარს.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ერთმანეთს გააცნეს ორი ქვეყნის საშინაო განვითარების მიმდინარეობა და მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ორმხრივ ურთიერთობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას შორის დიდი ხანია კარგი თანამშრომლობაა დამყარებული პოლიტიკურ დარგში. ფართოვდება კავშირურთიერთობა იდეოლოგიის სფეროში. ამ ურთიერთობას ორივე პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგრამ დღეს იგი განსაკუთრებით საჭიროა ანტიკომუნისტთა მტრული კამპანიების ეფექტიანი მოგერიებისა და სოციალისტურ სახელმწიფოთა იდეალებისა და მიღწევების პოპულარიზაციისათვის.

დიდი გაქანებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა ეკონომიკის დარგში. სტაბილური კოოპერაცია დამყარდა ავტომობილმშენებლობასა და მთელ რიგ სხვა დარგებში. ფართოვდება ალუმინის ერთობლივი წარმოება უნგრეთის ნედლეულისა და საბჭოთა ენერგეტიკის ბაზაზე. საქონლისა და მოსახურების გაცვლის ზრდის მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი იქმნება საბჭოთა კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დასახულ მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე განიხილეს საერთაშორისო საკითხები. ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის ერთსულოვანი აზრით, საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური ამოცანაა დაძაბულობის ახლანდელი გამძაფრების დაძლევა. და აქ წინა პლანზე დგება გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტისა და შეზღუდვის პრობლემა. სამწუხაროდ, ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს ახშობს შეერთებული შტატები. ამერიკის ადმინისტრაცია კვლავინდებურად თავისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერების იმედით არის. იგი აიძულებს ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეებს ანალოგიურად იმოქმედონ. ამერიკის შეერთებული შტატები გზას უხსნის ჩინეთს თავისი არსენალებისაკენ. მთელი ეს პოლიტიკა სერიოზულ საფრთხეს უქადის მშვიდობას და საერთაშორისო უშიშროებას.

მოლაპარაკებაზე, რომელიც უკვე მოეწყო განიარაღების საკითხთა გამო, კონსტრუქციული იდეების სოლიდური მარაგია შეძენილი. ეს ეხება განიარაღების კომიტეტს, ვენის მოლაპარაკებას და, უდავოდ, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებას. საჭიროა შევინარჩუნოთ მონაპოვარი, განვაგრძოთ წინსვლა და მივაღწიოთ პრაქტიკულ მორიგებებს, რაც შეგვამცირებინებდა მხარეთა სამხედრო დაპირისპირების დონეს.

ბოლოდროინდელი საერთაშორისო ამბები კვლავ მწვავედ აყენებს ომის კონფლიქტების არსებული კერების ლიკვიდაციის, კრიზისული სიტუაციების მოწესრიგების საკითხებს. ეს ეხება ხანიერ დროა, თავისი ადგილი მივუჩინოთ ისრაელ ადგილს, ვაიძულოთ ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის აზრით, ახლო აღმოსავლეთში ყველა დაინტერესებული მხარის კონსტრუქტიული ძალისხმევით სამართლიანი ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევა გადაუდებელი საქმეა. ეს შეესაბამება არა მარტო ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხთა ინტერესებს, არამედ საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებსაც.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა გამოთქვეს რწმენა, რომელსაც უდავოდ, გაიზიარებს ყველა, ვისაც გული შესტკივა მსოფლიოს ბედისათვის, — რომ ყოველგვარი რთული საერთაშორისო საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს და უნდა მოწესრიგდეს კიდეც მოლაპარაკების გზით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის გაბედული ფართო ინიციატივები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ წამოაყენა.

შეხვედრამ მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა და სრული ურთიერთგაგებით აღინიშნა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ენის სიწმინდისა და კულტურისათვის

სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას, მის სიწმინდეს, ენობრივ შეცდომათა და დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლას, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტების შესრულების კულტურას მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. თათბირზე მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტების მდივნები, სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები.

თათბირზე აღინიშნა, რომ მთელი რიგი დადგენილებათა განხორციელებამ, რომლებიც თანამიმდევრულად არის მიღებული რესპუბლიკაში განვლილი წლების მანძილზე ქართული, რუსული, აფხაზური, ოსური, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, სელმეძღვანი პირობები შეუქმნა რესპუბლიკის მოსახლეობის ზოგადი ენობრივი კულტურის განვითარებასა და გამდიდრებას. მაგრამ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საქალაქო მეურნეობის დაწესებულებების, სარეკლამო და სანახაობითი ორგანიზაციების პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირია დადგენილი ენობრივი ნორმების დამახინჯების ფაქტები. სპეციალისტთა აზრით, აფიშების, აბრების, მაჩვენებლების, იარლიყების, საფასურების ტექსტების არაკვალიფიციური შედგენა ყოფის ლექსიკაში ნერგავს მისთვის უჩვეულო ფორმებს, ანაგვიანებს ენას. უკონტროლობისა და არაკვალიფიციური რედაქტირის გამო ხშირად სწორად ვერ ლაგდება სხვადასხვაენოვანი ტექსტები აბრებზე, აფიშებზე, მაჩვენებლებზე.

სამინისტროებს, უწყებებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც კავშირი აქვთ ტექსტუალური და ვიზუალური ინფორმაციის გამოშვებასთან და გამოქვეყნებასთან, წინადადება მიეცათ ამაღლონ მოთხოვნა მისი ხარისხისადმი, ენობრივი და საშემსრულებლო კულტურა, ხოლო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს — დღევანდაგ გაუწიონ კონტროლი სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტების, აბრების, აფიშების მდგომარეობას რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. (საქინფორმი).

წინადადება, მოსაზრება: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის წინ

მანქანა და მემანქანე სოფლად

მექანიზაციის სადღეისო პრობლემები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მომავალ პლენუმთან დაკავშირებით, ამ დღეებში წერილი მიმართა საქართველოს სსრ კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მეცნიერებსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს, რათა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვის შესახებ.

ამ საკითხზე რედაქციაში უკვე მოდის წერილები. დღეს მკითხველს ვთავაზობთ პროფესორ **შ. კერესელიძის** სტატიას მექანიზაციის სადღეისო პრობლემებზე.

● ● ●

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა, მომავალ პლენუმთან დაკავშირებით, მეცნიერ მუშაკებს ახალი საფიქრალი გაგვიჩინა, მე მინდა შევჩერდე მექანიზაციის სადღეისო პრობლემებზე.

ხელის შრომის გაიოლება, მისი სრული ან ნაწილობრივი შეცვლა ადამიანმა საკმაოდ დიდი ხნის წინათ დაიწყო, ხოლო ეს პროცესი „მექანიზაციის“ ტერმინით გაცილებით უფრო გვიან მოინათლა. დღეს მექანიზაციამ ძალიან ფართო მნიშვნელობა შეიძინა. ახლა ამ საშუალებით ხორციელდება არა მარტო სოფლის მეურნეობის შრომითი პროცესები, არამედ მექანიზებული წესით სრულდება ყველა სამშენებლო და შიდასაქარხნო ოპერაციები. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით შრომის ნაყოფიერება 1 პროცენტითაც რომ გავზარდოთ, ეს თითქმის ერთი მილიონი კაცის შრომის ეკონომიას ნიშნავს: სწორედ ამიტომ იქცა დღევანდელ „ხელის შრომა — მანქანის მხრებზეო“.

უკანასკნელ ხანს საკმაოდ შეიცვალა თვით მექანიზაციის ტერმინის შინაარსი. მაგალითად, თუ უწინ მექანიზაციას მხოლოდ ერთი მარტივი გაგებით ვხმარობდით და, სახელდობრ, ხელის შრომის მექანიზმებით შეცვლით წარმოვიდგენდით, ახლა გაჩნდა ახალი ტერმინები, „დიდი მექანიზაცია“, „მცირე მექანიზაცია“, „კომპლექსური მექანიზაცია“, „ინდუსტრიული ტექნოლოგია“.

წინა წლებისაგან განსხვავებით, მექანიზაციისაგან დღეს უკვე აუცილებლად და განსაკუთრებით მოვითხოვთ აგრეთვე იმას, რომ მისეული პროდუქცია ხარისხობრივი მაჩვენებლებით გაუტოლდეს მაღალი კვალიფიკაციის ხელით შესრულებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ამასთანავე სასურველია ბევრად აჯობოს კიდეც. დღეს მექანიზაციას აღარ ეპატიება, რომ მისი პროდუქცია ლაბადაზით, სიმედოობით, ხანგამძლეობით და სხვა მაჩვენებლებით უფრო დაბლა იდგეს, ვიდრე ხელით დამზადებული ნაწარმი.

აქ, უწინწინეს ყოვლისა, იბადება კითხვა: შეძლებს თუ არა მექანიზაცია თავისი პირველყოფილი საშუალებებით ამ ამოცანის შესრულებას? რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს, და ამიტომ მექანიზაციამ უკვე დროზე მოითხოვა თავისი პოტენციური საშუალებების არსებითი გაძლიერება სხვა მონათესავე დარგებითა და საშუალებებით. ამ მიზნით მას დახმარების ხელი გაუწოდა ავტომატიკამ და ტელემექანიკამ.

თანამედროვე მექანიზაციისაგან აგრეთვე იმასაც მოვითხოვთ, რომ იგი მხარს უბამდეს და უმალვე წარმოებაში გადაჭრნდეს, საწარმოო ძალად და საშუალებად აქცევდეს ტექნიკისა და მეცნიერების ყველა პროგრესულ შენაძენს. მექანიზაციისაგან მოვითხოვთ, რომ ადამიანის შრომა ყველა ძმიმე სამუშაო პროცესისაგან მთლიანად გამოათავისუფლოს ან მაქსიმალურად შეამსუბუქოს, მექანიზაციისაგან დღეს განსაკუთრებით მოვითხოვთ რაოდენობრივი მაჩვენებლების, შრომის ნაყოფიერების, შრომის ხარისხობრივი მაჩვენებლების და თვით პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას. ამასთანავე ეს უნდა მოხდეს თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირებით. ცნობილია, როცა დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა ტომსონმა პირველი ავტომობილი ნახა. რომელსაც 4 მგზავრი გადაჰყავდა და საათში მხოლოდ ოთხი კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა, აღტაცებულმა წაოიძახა: ჩემი აზრით, წიგნთბეჭდვის გარდა ამ გამოგონებას, რომელმაც ადამიანს ტვირთი მოხსნა ბრბებიდან და თანაც გზა შეუმოკლა, ვერაფერი ვერ შეედრებაო. მექანიზაციის საშუალებებმა, გუთანმა არა მარტო ხის კავი შეცვალა, ტრაქტორმა — არა მარტო ცხენი და ხარი, კომბაინმა — არა მარტო ცელი, ნამგალი და სალეწი, არამედ მათ ადამიანების უდიდესი მტერი და საშიშროება — შიმშილი განდევნეს ჩვენი პლანეტიდან.

მაგრამ აქვე იბადება ერთი, რამდენადმე უცნაური კითხვაც, სახელდობრ, საჭიროა თუ არა უკლებლივ ყველა სამუშაოს მექანიზაცია და ისიც ასპროცენტიანი? ჩვენი აზრით, არა! ყველა სამუშაოს, და ისიც ასპროცენტიანი მექანიზაციით ჩვენ ადამიანს ისე განვცვირთავთ ფიზიკურად, რომ ამან თავის მხრივ შეიძლება მეტად ცუდი გავლენა მოახდინოს თვით ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე, დაასუსტოს იგი და გადაგვაროს. ასე დასუსტებული ადამიანი უბრალო დაავადების მსხვერპლიც ადვილად ხდება.

მექანიზაცია თვითმიზანი არ უნდა იყოს, მას უნდა მივმართოთ და გამოვიყენოთ მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანისათვის მას ცალმხრივი კი არა, ყოველმხრივი სარგებლობა მოაქვს. დღეს ისეთი სამექანიზაციო ობიექტი, რომელსაც მექანიზაცია სულაც არ შეხებია, უკვე ცოტაა, მაგრამ უამრავია სამუშაო, თვით მექანიზაციის საშუალებების ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდების საქმეშიც, რომელთა უყურადღებოდ დატოვება, ჩვენი აზრით, მიუტევებელია.

კომბაინის მუშაობის პრინციპი უნდა შეიცვალოს, რათა მარცვალი არ დაიმსხვრეს ან არ დაზიანდეს. მარცვლის დარტყმითი გამოლეწვა ალბათ თავთავის ავარცხნით უნდა შეიცვალოს. ასევე ბევრი პროცესის გაუმჯობესებაა საჭირო სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებში და ამიტომ ახალ ხუთწლედში, ჩვენი აზრით, კონსტრუქტორებმა და სპეციალისტებმა უნდა ვიმუშაოთ დეგიზით: უდანაკარგოდ-უნარჩენო ტექნოლოგიების გამონახვისა და წარმოებაში დანერგვის გზით შეექმნათ რაც შეიძლება სრულყოფილი, ჩქარისნული, დიდი მწარმოებლობისა და მაღალი ხარისხის პროდუქტის მომცემი მანქანები.

1981-1985 წლებისათვის დაგეგმილია ხორბლის მოსავლიანობა მიაღწიოს 238-243 მილიონ ტონამდე, ხოლო 1990 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე 1 ტონა მოსავალი უნდა მივიღოთ, კომბაინებით გამოლეწილი მარცვლის დანაკარგი მათი სრულყოფის შედეგად 20 პროცენტით მაინც რომ შევამციროთ, ჩვენს ბეღელში ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯების გარეშე დამატებით შევიტანდით სულ ცოტა 50 მილიონ ტონა ხორბალს. პროფესორ ა. ტარასენკოს თავისი გამოკვლევით დადგენილად მიაჩნია, რომ არათუ კვების ხარისხის გაუმჯობესებით, არამედ მარტო წველის ხარისხის (ლაპარაკია საწველი მანქანების შესახებ) გაუმჯობესებით ძროხის წველადობა 30 პროცენტამდე შეიძლება გავზარდოთ. აღვილი წარმოსადგენია, რამდენ ტონა რძეს მივიცემდით ჩვენს მოსახლეობას, ზედმეტი დანახარჯები. რომ არ იყოს! და თუ ახლა ჩვენი სოფლის მთლიანი ტექნიკის შემდგომ მნიშვნელოვან სრულყოფას მივაღწევთ, სულ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის კოლოსალური ეფექტი, რომელიც დანაზოგებითი დანახარჯების გარეშე შეგვიძლია მივიღოთ კაჟშირის მასშტაბით.

თანამედროვე ტექნიკის შემდგომი სრულყოფის ერთ-ერთი ქვაკუთხედია მისი ენერგოშემცველობით რაც შეიძლება მეტი აღჭურვა. მხოლოდ ენერგოშემცველობის მნიშვნელოვანი ზრდით იქნება შესაძლებელი, რომ სოფლის ტექნიკა — სახელდობრ ტრაქტორები გადავიყვანოთ გაცილებით უფრო მძლავრ სამუშაო სიჩქარეებზე და ამის შედეგად კი მნიშვნელოვნად აეწიოთ მათი მწარმოებლობა. ამ პრობლემის გადაჭრის თაობაზე კარგა ხანია დავობენ. ერთნი მომხრენი იყვნენ მიზნის მისაღწევად შეგვემცირებინა ტრაქტორის წონა ტრაქტორის არსებული სიმძლავრის შენარჩუნებით. მეორენი ვვარჩევდნენ, რომ სჯობდა გაგვზარდა ტრაქტორის სიმძლავრე და მისი წონა უცვლელი დაგვეტოვებინა; დღეისათვის იმ აზრს ადგანან, რომ ეს მეორე გზა სჯობს, და ამას ასაბუთებენ იმით, რომ წონის შემცირებით შესამჩნევად ვაუარესებთ ტრაქტორის თვლების — მუხლუხების ჩაჭიდებას ნიადაგთან, ამით წვეთი თვისებები უარესდება და იძულებული ვხდებით შევამციროთ მანქანის მოდების ფართი, რის გამოც სიჩქარეს კი გავზრდით, მაგრამ მწარმოებლობაში ვეღარ ვიგებთ.

ხშირად გვესმის საყვედურები იმის შესახებაც, რომ სოფლად ზოგიერთი სამუშაო პროცესი დღესაც, კოსმოსის საუკუნეში, მექანიზებული არ არის. ეს დიდ ცოდვად ეთვლებათ იმათ, ვინც მექანიზაციის ფარგში მუშაობს. თუ საქმეს მარტო ასეთი ასპექტით შეეხებოდავთ, ყველაფერი თითქოს და სწორია, საყვედურიც მართებული, მაგრამ ჩვენ გვინდა აქ საგანგებოდ განვიხილოთ ერთი მათგანის, სახელდობრ ყურძნის კრეფის მექანიზაციის საკითხი. საკითხი ისეა დაყენებული — თუ ცილილებელია თუ არა დღევანდელ ეტაპზე ყურძნის მექანიზებული კრეფა? ამაზე პასუხს მომავალი გაგვცემს.

მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა პირველყოფილია არჩევანი უნდა გააკეთონ და უწინარესად ისეთი ფარგების მექანიზაცია განახორციელონ, რომლებიც მოკლე ხანში მოგვცემენ მნიშვნელოვან ეფექტს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ თანდათანობით არ ვემზადოთ ისეთი დარგების მექანიზაციისათვისაც, რომლებიც ეფექტს შედარებით მოგვიანებით იძლევიან. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამედროვე მექანიზაციამ დღეს კურსი საკმაოდ შეიცვალა. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მექანიზაცია თავის საწარმოო საშუალებებად, ჩვეულებრივ, მხოლოდ დიდმწარმოებლურ, მძლავრ, ჩქაროსნულ მანქანას იყენებს.

თანამედროვე მექანიზაციას დღეს ერთი მეტად დიდი ნაკლი შემორჩა და საჭიროა მისი სწრაფად გამოსწორება. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები მანქანები — ტექნიკის სახით ეტყობა იმაზედ მეტიც გამოდის, რამდენიც საჭიროა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც არ გვყოფნის. ყველა გამოშვებული ტრაქტორი, რომ მთელი სეზონი და სრული დატვირთვით მუშაობდეს, ალბათ იმის ნახევარიც გვეყოფოდა, რასაც დღეს ვუშვებთ, ბევრგან ტრაქტორისტი გვაკლია და მანქანები ცდება, ბევრგან კიდევ სათადარიგო ნაწილები არა გვაქვს. ზოგან რემონტს უხარისხოდ აკეთებენ და ტექნიკური უწესივრობის გამო ტექნიკა ცდება. ეს ხდება მაშინ, როცა ტექნიკის რემონტზე და სათადარიგო ნაწილების გამოშვებაზე ჩვენი ქვეყნის დაზგების საერთო პარკის ერთი მესამედი მუშაობს და ამ საქმეზე მილიონობით კაცია დასაქმებული.

მარტო 1980 წელს სოფელმა მიიღო 340 ათასი ტრაქტორი და მთელ პარკში ამჟამად 2,4 მილიონზე მეტი სხვადასხვა მარკის მანქანაა. ტრაქტორებს ხანგამძლეობის ვადებიც დაუდგინეს. პირველ კაპიტალურ რემონტამდე ტრაქტორებმა 8 ათასი საათი უნდა იმუშაონ. დღეს სადავოდ გამხდარა მანქანების ჩამოწერის საკითხი. ერთნი ამბობენ, როცა მანქანის გაანგარიშებული საამორტიზაციო პერიოდიდან ყველაფერს მივიღებთ, მანქანა მაშინ უნდა ჩამოვწეროთო. მეორენი მოითხოვენ, არა, მანქანას მაქსიმალურად უნდა გავუგრძელოთ მუშაობის ვადაო. რომელია მართალი? პრაქტიკულად ამ საკითხს ჩვენი მექანიზატორები სხვანაირად უდგებიან, ეს მაშინ, როცა მანქანათმშენებლებმა უკანასკნელ დროს შედარებით უფრო ხანგამძლე და საიმედო მანქანები გამოუშვეს, კიროვოგრადის ოლქის ულიანოვსკის რაიონის მექანიზატორებმა ტექნიკის სამუშაო მდგომარეობა შესამჩნევად გაახანგრძლივეს. ეს გააკეთეს სრულკომპლექტიანი რემონტის გარეშე და მიმდინარე ტექნიკური მოვლის დანახარჯების საგრძნობი შემცირებით. ასეთი მაგალითები ჩვენში ბევრია.

კრასნოდარის მხარის ნოვოკუბანსკის რაიონის ცნობილი მექანიზატორის ვლადიმერ პერვიცკის რგოლის თითოეული მექანიზატორი ყოველ წელს იმაზე მეტ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე იმავე რაიონის ასი გლეხი იძლევდა რევოლუციამდე. ლაითურელმა მექანიზატორმა ანატოლი ჟარკოვმა მოღერინაზული „საქართველო-77“-ით ერთ არასრულ სამუშაო დღეს, 11 ტონა და 539 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რომლის 80,3 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო: ჟარკოვმა ამ დღეს 730-ზე მეტი ბერეფაცი შეაცვალა. სამწუხაროდ, ასეთი მანქანის გამოშვებას ავერ ოთხ წელზე მეტია ამუხარუჭებს „ვნიგოროსელმაშის“ დირექტორი ნაზარიშვილი.

1977 წლის მონაცემებით სოფლად ყოველ დახარჯულ მანეთზე 7 მანეთი უკუგებაა და ეს ციფრი ახლა სრულებითაც არ გვაკმაყოფილებს. როგორც მრეწველობაში, ისე სოფლად უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავება და პრაქტიკაში მათი დროული დანერგვა, აკადემიკოს ე. ფიოდოროვის სიტყვით რომ ვთქვათ, არა მარტო ჩვენი გარემოს სისუფთავეს დაიცავს, არამედ უზრუნველყოფს ბუნების რესურსების რაციონალურ გამოყენებასაც. 1990 წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს მესამე გენერაციის სოფლის მეურნეობის მანქანებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება მართვის ავტომატიზაციით, და გამომთვლელი მანქანები 7-9-ჯერ უფრო მწარმოებლური იქნება, ვიდრე დღევანდელია.

უკვე ლაბარატორია შეიქმნას ისეთი მანქანები, რომელთაც ტექმოვლა არ დასჭირდებათ და რამდენიმე ოპერაციის ერთდროული შესრულება შეეძლებათ.

ფიქრობენ იმის შესახებ, რომ დიდ საბჭოთა მეურნეობებს ემზადებენ ე. წ. ტრაქტორელებს, როსადგურებს, რომლებიც ელექტროენერგიით, ელექტრონული ელიანი დიზელებით, ელექტრონული ბრავებით. დიზელებიდან ელექტრონული ენერგიის, გარდაქმნიან ელექტროენერგიად და როგორც ადვილად გასაანგარიშებელია და მოსახერხო გამოიყენებენ მანქანების სხვადასხვა მექანიზმის მუშაობაში.

ზოგიერთი რამ პირად მეურნეობებზე. და მცირე ტექნიკის შესახებ:

ჩვენს ქვეყანაში მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში ამჟამად დაახლოებით 10 მილიონი ჰექტარია. ასეთ მცირეკონტურიან ნაკვეთებზე, ვაკეზეც რომ იყოს განლაგებული, რა თქმა უნდა, დიდგაბარიტიანი ტექნიკის გამოყენება არარაციონალური იქნება, დიდ ტექნიკას ასეთ ასაქცევებზე მუშაობა არ შეუძლია, უეფექტოა და სწორედ ამიტომ ასეთი ნაკვეთების დასამუშავებლად მიზანშეწონილია მცირეგაბარიტიანი ტექნიკის შექმნა და გამოყენება. ეს საკითხი, როგორც მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებებშია, აღნიშნული, მალე მოგვარდება, ქუთაისში გამოშვებულ მცირე გაბარიტიან ტრაქტორებს, როგორც „იზვესტია“ იუწყებოდა, მალე მიიღებენ ჩვენი მშრომელები და ეს დიდი საქმეა.

პირადი სარგებლობის ნაკვეთების თითქმის მეტი წილი ხელით მუშავდება. ახლა პირველ რიგში უნდა შეიქმნას პატარა, შედარებით მცირე სიმძლავრის არა მარტო ტრაქტორები, არამედ მისაბმელი და დასაკიდი იარაღების მთელი სისტემა, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოებს შეასრულებენ ლ. ი. ბრეჟნევმა 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა, რომ ახლა ამ საკითხისადმი მიდგომა კიდევ უფრო მკვეთრად და არსებითად შეიცვალა. საკარმიდამოსადმი დაინტერესება ძირეულად შეიცვალა და იმედია აქედან ქვეყანა ზიდი რაოდენობით დამატებით პროდუქტს მიიღებს. მაშინ ხალხს თითს სოფლებში დაბრუნებისათვის სხვა აგიტაცია აღარ დასჭირდება, ბევრი ქალაქელი მშრომელიც დაუბრუნდება მამა-პაპეულ კერას.

შ. კერესელიძე,

სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

კოლმეურნე მეთევზეთა წარმატება

ბათუმი. (ხაკ. კორ.). კოლმეურნეობა „წითელი მეთევზეს“ წლეულს ხეავრიელი თევზჭერა აქვს. მებადურებმა 10 თვის გეგმა წლის პირველ ნახევარში შესრულეს, ხოლო კაპიტან-ბრიგადირებმა ს. ჭირიამ და ვ. კარაპეტიანმა მთელი წლის გეგმა გაანალდეს.

„წითელი მეთევზის“ კოლექტივი სხვა მაჩვენებლებითაც დაწინაურდა. მათ შებოლილი თევზის წარმოების ნახევარი წლის გეგმა 129 პროცენტით შესრულეს.

შემოდგომაზე კვლავ ახალი ძალით გაჩაღდება რეწვა.

მ. გორგილაძე.

ფრილების კვალდაკვალ

უპასუხის-მგებლო დაისაჯა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის მცხოვრები, კოლმეურნე ა. მგელაძე რედაქციას წერდა, რომ სოფლის მეურნეობის სამმართველოს ნებართვით მშობლიური კოლმეურნეობის 900 კვადრატული მეტრი ფართობი შემოაკავა, დაამუშავა, შეიტანა ორგანული სასუქები, დარგო და გაახარა მანდარინის ნერგები. მაგრამ კოლმეურნეობამ არა თუ დახარჯული თანხა და გაწეული შრომა აუნაზღაურა, არამედ 9 თვის საავადმყოფო ფურცელიც არ გაუნაღდა.

რედაქციამ ა. მგელაძის განცხადება რეაგირებისათვის საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომს გადაუგზავნა. რაიკომის მდივანი **ი. წილოსანი** გვატყობინებს:

— განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. კოლმეურნეობის გამგეობამ მგელაძეს თავდაპირველად არ აუნაზღაურა პლანტაციის გაშენებისათვის საჭირო ნერგებისა და მავთულბადის ღირებულება იმ მოტივით, რომ მგელაძემ იგი შეიძინა მხოლოდ კოლმეურნეობის ბრიგადირის კ. ორაგველიძესთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, რაც ცნობილი არ იყო კოლმეურნეობის გამგეობისათვის. შესრულებული სამუშაოს შეფასება მოხდა დაგვიანებით, რის გამოც გამომუშავებული ხელფასი ვერ დავურიცხეთ. გარდა ამისა ა. მგელაძე ავადმყოფობის გამო ადგილზე არ იყო.

კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა აღნიშნული საკითხი და ბრიგადაში სამუშაოთა არასწორად შესრულებისათვის ბრიგადირ კ. ორაგველიძეს გამოუცხადა საყვედური, ხოლო განმცხადებელს აუნაზღაურა როგორც გამომუშავებული ხელფასი, ასევე მავთულბადის და ნერგების ღირებულება, გაუნაღდა ბიულეტენი.

პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ ა. მგელაძის განცხადების განხილვის გაჭიანურებისათვის მკაცრად იქნა გაფრთხილებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ფირცხალაშვილი.

საკლესიასა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაუწყებენ

28 ივლისი

● კამპუჩია

გმოგენ ჩარევას

ანომპენი. ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და სხვა რეაქციული ძალების მოქმედება, რომლებმაც უბადიღეს კამპუჩიის საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიეს, წარმოადგენს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევას, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას, წერს გაზეთი „კამპუჩია“.

კამპუჩიელი ხალხი უარყოფს ამ „კონფერენციაზე“ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მათ უკანონოდ მიიჩნევს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაძაბულობის წყაროა პეკინის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც ისწრაფვის ძირი გამოუთხაროს ინდოჩინეთის ხალხთა რევოლუციურ მონაპოვრებს. ამ საშიში კურსის საპირისპიროდ ვიეტნამი, კამპუჩია და ლაოსი უცვლელად დგანან პოლიტიკას, რომლის მიზანია რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრება, რასაც მოწმობს ახალი კონსტრუქციული წინადადებები, რომლებიც ჰნომპენის კონფერენციაზე წამოაყენეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისა და ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, და რომლებიც მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ყველა სახელმწიფოს შორის.

● იტალია

შეხვედრები კაბინეტთან

რომი. იტალიის დედაქალაქში დაიწყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯ. სპადოლინის გთვალისწინებული შეხვედრების ხუთიის პირველი შეხვედრა მისი კაბინეტის წევრებთან და ქვეყნის უმსხვილესი პროფკავშირული გაერთიანების — იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციის, იტალიის შრომის კავშირის ერთიანი ფედერაციის ხელმძღვანელებთან. იგი მიეძღვნა იტალიის მწვავე ეკონომიკური უწესრიგობის დაძლევის საკითხს.

● საფრანგეთი

უდიდესი წარმატება

პარიზი. „ტრიუმფი“ — ასე შეაფასა ფრანს პრესის„ სააგენტოს თეატრალურმა კრიტიკოსმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გამოსვლა ხელოვნების ფესტივალზე, რომელიც ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქ ავინიონში მიმდინარეობს. საბჭოთა მსახიობებმა ქართულ ენაზე წარმოადგინეს თავიანთი ორი საუკეთესო დადგმა — ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრე“ და შექსპირის „რიჩარდ III“.

„თბილისის თეატრის სპექტაკლები ნამდვილი სასწაულია“, — იუწყება ფრანს პრესის სააგენტო და აღნიშნავს, რომ მაყურებელმა საბჭოთა საქართველოს მსახიობები დაჯილდოვა „ისეთი ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით, როგორიც წლეულს ჯერ არ სმენიათ ავინიონში“.

საშიში თამაში

თერმობირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ

გფრ

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის სულ ახალ-ახალი ფენები ებმებიან მორიგობაში მშვიდობის დასაცავად. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მხედრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განალაგონ ახალი ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღი.

„იმაზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, ვიდრე ვიცხოვროთ მშვიდობიანობის პირობებში!“ — ასეა დასათაურებული გაზეთი „კელნერ შტადტ-ანციაგერ ში“ გამოქვეყნებული ქალაქ კელნის მოქალაქეთა განცხადება. მუშებს, მოსამსახურეებს, ექიმებს, არქიტექტორებს, ინჟინრებს, ფიზიკოსებს, ფსიქოლოგებს, ხელოვნების წარმომადგენლებს, თოლებმაც ხელი მოაწერეს განცხადებას, მიიჩნიათ, რომ არ შეიძლება გამალებული შეიარაღების ომის საფრთხის შემცირება. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ უარი თქვან საშუალო სიშორის ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღით „დამატებითი შეიარაღების“ გეგმებზე. „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოვუწოდებთ, — აცხადებენ კელნელი მოქალაქენი, — უარი თქვან საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმების მხარდაჭერაზე და მთელი ძალებით ხელი შეუწყონ განიარაღების საქმეს“.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში რაკეტულ-ბირთვული იარაღის პოტენციალის გაზრდის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს დასავლეთგერმანელმა რელიგიურმა მოღვაწეებმა.

იტალია

პიზა. „დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის იტალიის, ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება გამოიწვევს გამალებული შეიარაღების დაჩქარებას, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის გაძლიერებას, — განაცხადა იტალიელ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის ქალაქ პიზის პროვინციული განყოფილების თავმჯდომარემ ულიანო მარტინიმ. — ამიტომ მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ბრძოლა კაცობრიობის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა“.

ინგლისი

ლონდონი. „ეგრეთ წოდებული „დასავლეთ ევროპისათვის საბჭოთა კავშირის მხრივ საშიშროების არსებობის მტკიცება“ — ეს არის მითი, რომელსაც ნატოელი გენერლები ამისათვის იყენებენ, რომ შეცდომაში შეიყვანონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მცხოვრებნი“, — განაცხადა გაზეთ „მორნინგ სტარისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იტალიელმა სენატორმა, გადამდგარმა გენერალმა ნინო პასტმ. — პენტაგონი და ნატო ინიღბებიან ამ მონაჭორებით და ზრდიან თავის სამხედრო პოტენციალს. ნატო ამჟამად საშიშ თამაშს ეწევა თქვა შემდეგ სენატორმა.

იგი შეეხო ბირთვული განიარაღების პრობლემას და მკაცრად გააკრიტიკა ნატოელი „ქორები“. „ნატოში ჯერ კიდევ არიან გენერლები და ადმირალები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია მოიგონ ბირთვული ომი, — განაცხადა ნ. პასტმ. — სინამდვილეში ბირთვული იარაღი საომარი მოქმედების იარაღი კი არ არის, გენოციდის იარაღია“.

დასასრულ სენატორმა საჭიროდ მიიჩნია განახორციელონ „ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებები ზღვარდაუდებელი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის“. საჭიროა კაცობრიობას თავიდან ავაცილოთ თერმობირთვული კატასტროფის საფრთხეო, თქვა მან.

ფოტოფაქტი და...

ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი სამხედრო ყოფნა მსოფლიო ოკეანის ყველა რეგიონში, სამხედრო ხომალდების 600 ერთეულამდე გაზრდა, მათ შორის 15 ავიამზიდის ჯგუფის შექმნა ვაშინგტონის ახალი სამხედრო საზღვაო სტრატეგიის საფუძველია. ეს პოლიტიკა დედამიწის სხვადასხვა რაიონში შეერთებული შტატების „საარსებო ინტერესების დაცვის“ იდეის უშუალო შედეგია.

სურათზე: ამერიკული ავიამზიდი „ენტერპრაიზი“ ყოველთვის მზად არის როგორც გლობალური, ისე „შეზღუდული ბირთვული ომისათვის“.

კამერა პრეს-საკადესის ფოტო.

კარიკატურისტის კომენტარი

ამერიკული არშინი.

ნახატი ჟურნალ „ოილენშპიგელიდან“ (გდრ).

ცდილობენ • აშშ სკანდალის მიფუჩეჩებას

ვაშინგტონი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა უ. კეისიმ პირადად დაამტკიცა ლინდის რევოლუციის ლიდერის მ. კადაფის ჩამოგდებისა და ფიზიკური მოსპობის საიდუმლო გეგმა. ამას იუწყება ჟურნალი „ნიუსუიკი“, რომელიც კონგრესის წყაროებს იმოწმებს, ჟურნალის თქმით, ლიბიის „ფართო მასშტაბის რამდენიმე ეტაპიანი და ფრიად ძვირად ღირებული ოპერაცია“ თეთრმა სახლმა მოიწონა.

ამ ფაქტის გახმაურებამ ნავთი გადაასხა სკანდალის ცეცხლს, რომელიც ამერიკის საჯაშუშო უწყების შეფის „გარშემოა ატეხილი. გარდა იმისა, რომ კაპიტოლიუმის ბორცვზე ძალზე უკმაყოფილონი არიან მისი საქმიანობით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე, კანონმდებელთა გულისწყრომას იწვევს საფინანსო მაქინაციები, რომლებსაც კეისი წინათ მიმართავდა. ახლა კეისის საქმიანობის უფრო ღიტალური გამოძიებისათვის კანონმდებელთა განკარგულებაშია 20 ყუთი დოკუმენტები, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ფინანსურ წარსულს ეხება. თუმცა, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, მათ შორის რატომღაც არ აღმოჩნდა ანგარიშები კეისის მიერ გადასახადის გადახდის შესახებ, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მასალები, რომლებიც ინტერესებთ გამომძიებლებს სენატის სპეციალური დაზვერვის კომისიის ჰპარატიდან.

ამ დღეებში თეთრი სახლი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაფუჩეჩოს კეისის სკანდალური საქმე. როგორც „სიბიენ“ ტელეკომპანია იუწყება, პრეზიდენტი რეგანი, რომლის პირადი მეგობარიც არის კეისი,„ მტკიცედ იცავს მას“. ტელეკომპანიის თქმით, „რეგანმა ყველას აგრძნობინა, რომ სურს კეისი თავის პოსტზე დარჩეს, თუმცა სულ უფრო ძლიერებენ კრიტიკას რესპუბლიკელი სენატორები, რომლებიც აშკარად მოითხოვენ კეისის გადადგომას. „სიბიესი“ აღნიშნავს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი შეფის გადარჩენის კამპანია „აშკარად ორკესტრირებულია“. უახლოეს დღეებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციის დიდი თანამდებობის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლების მთელი სერია მის დასაცავად. ეტყობა, სწორედ ამიტომ, აღნიშნავს ტელეკომპანია, კეისი „მაინცდამაინც არ ფუფუნ“. იგი აცხადებს, რომ არ აპირებს გადადგომას.

● ეგვიპტე

იურისტთა მოთხოვნა

**კაირო. თვალსა

მექსიკელი კონგრესმენები თბილისიდან გამგზავრნენ

27 ივლისს თბილისიდან სოჭი გაემგზავრა მექსიკის შეერთებული შტატების ეროვნული კონგრესის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს დეპუტატთა პალატის სახელმწიფო მართვისა და კონსტიტუციის საკითხთა კომისიის მდივანი ანტონიო უტრონ უიტრონი. დელეგაცია ამჟამად ქვეყანაში ოფიციალურად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ანტონიო კარილიო ფლორესი, რომელიც თან ახლავს დელეგაციას მოგზაურობაში.

მექსიკელი პარლამენტარების დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს მისი თანმხლები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა თ. კ. ჯაბადარმა და ი. ნ. ციცაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველმა მ. ა. ბერეჟნაძემ და მისმა მოადგილემ ა. ა. ჭიპაშვილმა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. ნ. გორდეევაძემ და ამავე სამინისტროს განყოფილების გამგემ ზ. ი. აბაშიძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზ. ვ. ბახარაძემ.

—✶—

გამგზავრების წინ, კვირას, მექსიკელი კონგრესმენები ეცნობოდნენ საქართველოს. დიდი ინტერესით დაათვალიერეს მათ ქალაქი რუსთავი და მისი სულიჩამდგმელი მეტალურგიული ქარხანა. სტუმრებს თან ახლდა ახსნა-განმარტებას აძლევდა ქარხნის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ნ. სულაძე.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, შორეული მექსიკის წარმოგზავნილები მეტეხის პლატოზე ტაძებოდნენ საქართველოს დედაქალაქის ისტორიული ცენტრის პანორამებით. დეპუტატთა პალატის წევრმა მარია დელ კარმენ მარკეს დე რომერო ესპინოსამ რამდენიმე სამახსოვრო სურათი გადაიღო, სოფლის ფაცალ გამოწვეული სტუმრებისა აღფრთოვანება კიდევ უფრო გაძლიერდა ბარათაშვილის ქმნილ რესტავრირებულ უნებლიერ სეირნობის შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა საგნობრივად ასახავს მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას. მისი დათვალიერების შემდეგ მექსიკელ პარლამენტარებს თვალსაჩინო წარმოდგენა შეექმნათ სსრ კავშირის ერთ-ერთი სამხრეთი რესპუბლიკის სოციალისტური მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შესახებ.

—✶—

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ალმა-ათის გაუმართა მექსიკის შეერთებული შტატების ეროვნული კონგრესის დელეგაციას. ... საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ... ლაშქარაშვილმა, ... საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ... ვ. მ. სირაძემ. ... ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ... ბიუროს დროს დელეგაციის ... ანტონიო უიტრონ უიტრონმა და ... საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ... ვ. მ. ზაიჩენკო. ... ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის ხალხთა სალამურ ინსტიტუტის პირველი მოადგილე ნ. მ. ზაიჩენკო.

გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა ბატონმა უიტრონ უიტრონმა საინფორმაციო კორესპონდენტს უთხრა:

— ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი აღფრთოვანებულია ქართველი ხალხის აღმშენებლობითი ენერგიისადმი, დიდი მისწრაფებით აქციოს საქართველო სახელმწიფოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ რესპუბლიკად. ... ყველა ქვეყნის პარლამენტები — თქვა შემდეგ ბატონმა უიტრონმა, — ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე და საიმედო ინსტრუმენტია პლანეტაზე მშვიდობის მოსაგვარებლად და ხალხთა შორის მეგობრობის დასამყარებლად. ამიტომ პარლამენტარებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი ხალხების წინაშე აწმყოსა და მომავალში მათი ბედნიერებისათვის და მათ უნდა აქტიურად იმუშაონ ამ მაღალი მიზნისათვის.

ჩვენს მშვენიერ რესპუბლიკას, რომ ვთქვიათ, ჩვენ გვსურს საბჭოთა ხალხთან დავდოთ ხელშეკრულება, რომელსაც არ სჭირდება ხელის მოწერა, რადგან იგი — მეგობრობის ხელშეკრულება ჩვენს გულებში დაიწერა.

მექსიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროებით მორთულ აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა თ. კ. ჯაბადარმა და ი. ნ. ციცაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველმა მ. ა. ბერეჟნაძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. ნ. გორდეევაძემ და ამავე სამინისტროს განყოფილების გამგემ ზ. ი. აბაშიძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზ. ვ. ბახარაძემ.

—✶—

გამგზავრების წინ, კვირას, მექსიკელი კონგრესმენები ეცნობოდნენ საქართველოს. დიდი ინტერესით დაათვალიერეს მათ ქალაქი რუსთავი და მისი სულიჩამდგმელი მეტალურგიული ქარხანა. სტუმრებს თან ახლდა ... ახსნა-განმარტებას აძლევდა ქარხნის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ნ. სულაძე.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, შორეული მექსიკის წარმოგზავნილები მეტეხის პლატოზე ... ტაძებოდნენ საქართველოს დედაქალაქის ისტორიული ცენტრის პანორამებით. დეპუტატთა პალატის წევრმა მარია დელ კარმენ მარკეს დე რომერო ესპინოსამ რამდენიმე სამახსოვრო სურათი გადაიღო, სოფლის ... ცვით გამოწვეული სტუმრების აღფრთოვანება კიდევ უფრო გაძლიერდა ბარათაშვილის ... ქმნილ რესტავრირებულ უნებლიერ სეირნობის შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა საგნობრივად ასახავს მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას. მისი დათვალიერების შემდეგ მექსიკელ პარლამენტარებს თვალსაჩინო წარმოდგენა შეექმნათ სსრ კავშირის ერთ-ერთი სამხრეთი რესპუბლიკის სოციალისტური მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შესახებ.

—✶—

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის გამო

წინაპართა ნათელ ნაკვალევზე

17–25 ივლისი

ოთხი დღეა ვერაფრის შეტყობინება ვერ მოვახერხეთ, რადგან კოჩუბეიდან გამოსულები დღემდე ტრამალებსა და დიუნებში დავეხეტებოდით. წყლის მარაგი რომ არ მოგვკლებოდა, უმეტესად რკინიგზის ხაზის გასწვრივ მივსდევდით ნაგზაურებს და ყოველ არტეზიულ ჭასთან ვისვენებდით წამით. ეს იყო ჩვენი მარშრუტის ყველაზე რთული მონაკვეთი, და თუ იგი შედარებით მშვიდად განვლეთ, ამაში კოჩუბეელ ქართველებსაც უნდა ვუმადლოდეთ. ყიზლარის ზამთრის საძოვრების ხელმძღვანელმა მუშაკებმა დაბა არტეზიანამდე მოგვაცილეს და მეგობრულად გამოგვემშვიდობნენ. მათი გულის სითბო დიდხანს გაგვყვა და სავალი შეგვიმსუბუქა.

უნაგირზე დაწერილ რეპორტაჟებს რომ ვეღარ გთავაზობთ, ბუნებრივია, ჩვენი დღიურების ზომა იზრდება.

უდაბნო ყოველთვის სავსეა ფათერაკებით. ყალმუხეთის გადამწვარ, ქვიშიან ტრამალებზე ბალახი ისევე სანატრელია, როგორც წყალი, ხოლო ნაგზაური იმდენია, რამდენიც საიგაკის ნაკვალევი. ცხენსა და მანქანას ყველგან გვერდიგვერდ სიარული როდი შეუძლიათ. ეს იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ ერთ მონაკვეთში ავტომანქანები და ცხენები ერთმანეთს დაეკარგნენ. ლამის მთელ დღეს დავეძებდით ერთმანეთს, და, ბოლოს, მხოლოდ მაშველი ჯგუფის გამოყოფამ გვიხსნა. ამას მალე ისიც დაერთო, რომ ერთ-ერთ ავტომანქანას ზეთი გაუთხევადდა და ძრავის გაფუჭების შიშით ლამის მთელი ორმოცდაათი კილომეტრი მეორე მანქანაზე გამობმული ვათრიეთ. ასე და ამგვარად, ხან ცხენით, და ხანაც ქვეითად ოთხი დღის მანძილზე ას სამოცდაათი კილომეტრი გავიარეთ და წუხელ ყალმუხეთის ტერიტორიიდან ასტრახანის ოლქის საზღვარზე შემოვდგით ფეხი. ამჯერად კარვები არ გაგვიმართავს. ჯერ ერთი საათი ვოლგიდან გადმოგდებულ არხთან შევჩერდით, შემდეგ კი რკინიგზის ერთ პატარა კვანძზე დავბანაკდით. ტრამალებში კიდევ ერთ დღეს ვივლით და ლიმანში შევალთ. ვფიქრობთ, რომ მგზავრობის ტემპი შევახელოთ, რადგან დაღლილობამ ამკარად იჩინა თავი. ეტყობა, გზის სიშორემ ცხენებიც გაალიზიანა. დღეს დილაუთენია, როგორც კი იგრძნეს, რომ კვლავ კაზმავდნენ, თოკები დაწყვიტეს და სტეპში გაიჭრნენ. მათი ძებნა და დევნა ოთხ საათს გაგრძელდა, რის გამოც ბანაკის ამლა დაგვიანდა.

უდაბნოს შიგან ხეტიალით ასე მოქანცულნი მივადექით ასტრახანს — ჩვენი მოგზაურობის ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტს.

ეს ქალაქი ერთი დღეა, რაც დავტოვეთ, მაგრამ აქაურ შთაბეჭდილებებზე დღესაც ცხოველი საუბარი გვაქვს ექსპედიციის წევრებს.

ახლა, როცა ამ დღიურს ვწერთ, ასტრახანიდან საკმაოდ შორსა ვართ. ჩვენ სტავროპოლის მხარის ერთი პატარა რაიონული ცენტრის გრაჩოვკის სასტუმროში შემოვირბინეთ, რათა ეს სტრიქონები მოგვეწერა და ასტრახანში გადაღებული სურათები დაგვებეჭდა.

გზა, რომელიც ასტრახანიდან გრაჩოვკამდე განვლეთ, ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო. 50 გრადუსამდე სიცხეში ველებში გამავალი ასფალტი ერთთავად დამდნარიყო და სუნთქვაც ლამის შეუძლებელი ხდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ყოველ კილომეტრზე მანქანის რადიატორში წყალი დუღდებოდა, და მაინც მთავარი ფათერაკი ის იყო, რომ ერთ-ერთი ავტომანქანა კვლავ გამოვიდა მწყობრიდან და ისე მოხდა, რომ, ალბათ, თბილისამდე არც არაფერი ეშველება. ძნელი საფიქრებელია, რა გველოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, თითქოს ცით მოგვევლინაო, ჩვენი რესპუბლიკის მძიმე საბარგო მანქანა წამოგვეწია, „წყალსაშენმასალების“ ტრესტის ერთ-ერთი ქარხნის მძღოლმა ზურაბ გულიაშვილმა მარშრუტი გაიგრძელა და ჩვენ წამოგვყვა. მას ახლაც ბუქსირით, მიჰყავს ჩვენი მანქანა. ერთი სიტყვით, ექსპედიციას ერთი კაცური კაცი შეემატა, ვაჟკაცურად ამოგვიდგა მხარში.

მალე გეორგიევსკში შევალთ.

გრაჩოვკა, სტავროპოლის მხარე.

უნაგირზე დაწერილი რეპორტაჟები

მეგობრობის ქალაქი დელფაში

მართლაც დიდებულად შემოგვგება ასტრახანი. აქაურებს წინასწარ შეეტყოთ ჩვენი სტუმრობის შესახებ და თადარიგიც დაეჭირათ. 21 ივლისს, დილის 10 საათზე სახელმწიფო ავტომონსპექციის ავტომობილების თანხლებით ჟურნალისტური მხედრობა ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრა. აი როგორ აღწერს ამ მომენტს პარტიის „ასტრახანის საოლქო კომიტეტის ორგანო გაზეთი „ვოლგა“: „გუშინ დილით ასტრახანელები არაჩვეულებრივი სანახაობის მოწმენი გახდნენ — ქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ თეთრ ჩოხებში გამოწყობილი მხედრები, რომლებიც ასტრახანის კრემლის კარიბჭეს მოადგნენ“.

კარიბჭესთან კი უამრავ ასტრახანელს მოეყარა თავი. რუსულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები გულთბილად ესალმებოდნენ სტუმრებს.

კრემლის მიძინების ტაძრის წინ საზეიმო მიტინგის გახსნის შემდეგ ჟურნალისტური ექსპედიციის წევრებს მიესალმნენ პარტიის ასტრახანის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. მ. ფეოდოსოვი. ასტრახანის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პ. რეშეტნიკოვი, რის შემდეგაც ჟურნალისტური ექსპედიციის წევრებს ტრადიციული პურ-მარილი მიართვეს.

სპასასუხო სიტყვა წარმოთქვა ჟურნალისტური ექსპედიციის ხელმძღვანელმა გელა ქოქიაშვილმა, რომელმაც შეკრებილთ ულრმესი მადლობა გადაუხადა ასეთი შესანიშნავი მიღებისათვის.

მიტინგს ესწრებოდა პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ს. ა. ორლოვი.

ამის შემდეგ ექსპედიციის წევრები მაპინძელთა თანხლებით ტაძარში შევიდნენ, სადაც წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდი წინაპრების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მათი საფლავები.

უნდა ითქვას, რომ მთელ ტაძარში ქართველ მეფე-მოღვაწეთა აკლდამა ყველაზე მეტად გამოირჩევა. მარმარილოს ოთხ უზარმაზარ ქვაზე ქართული ჩუქურთმის ფონზე ამოუკვეთიათ ვახტანგისა და თეიმურაზის სახელები.

ჩვენი პატარა მემორიალური ფილისათვის ადგილის შესარჩევად დიდხანს ფიქრი არ დაგვჭირვებია. მარცხნივ თეთრი მარმარილოს კედელი საამოდ ყველას მოეწონა. დიდებული სანახავი იყო უამრავი სახლთული გაჩრილდნებული და ხალხით გაჭედილი ტაძრის დარბაზი. ყველას სურდა რამე ეკითხა ანდა თავად ეამბნა, თუ როგორი მოწიწებით უვლიდნენ ქართველი მეფე-პოეტების და მათთან ერთად გაიოზ რეტლორის საფლავებს. ისინი დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს გიგა პაიჭაძეს და მასთან ერთად ყველას, რომელთა მონაწილეობითაც ვახტანგისა და თეიმურაზის ნეშტი ახალ ძვალთშესალაგში გადაასვენეს, მათი და გაიოზ რეტლორის საფლავები ასეთნაირად მოაწყვეს.



ქართველ კაცს ძნელად თუ გააკვირვებ სტუმართმოყვარეობით, მაგრამ სწორედ რომ გაკვირვებული დავრჩით მასპინძელთა უდიდესი ყურადღებითა და პატივისცემით. ჩვენს ჩამოსვლამდე პროგრამა შეედგინათ, თანაც ისე, რომ ექსპედიციის წევრებს რაც შეიძლება მეტი ენახათ და გაეგოთ. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი იყო რსფსრ ჟურნალისტთა კავშირის ასტრახანის საოლქო ორგანიზაციის მდივანი ს. ა. მოგუშევი.

ამავე დღეს მასპინძლებმა დაგვთვალიერებინეს ულიანოვების ოჯახის სახლ-მუზეუმი, ხოლო საღამოს დავესწარით საინტერესო თეატრალურ სპექტაკლს.

მეორე დილით ასტრახანის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი დავათვალიერეთ და სამახსოვროდ გადავეცით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მათთვის შერჩეული საინტერესო წიგნები, მათ შორის „ვახტანგ VI კანონები“, „საქართველოს სსრ ატლასი“, 1712 წლის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ ფოტოტიპოროფუქციული გამოცემა და სხვა. მუზეუმსვე გადაეცა საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამოგზავნილი მთელი რიგი წიგნები და სუვენირები.

შუადღისას კვლავ მიძინების ტაძარს ვეწვივეთ, სადაც საზეიმოდ გაიხსნა ჩვენ მიერ ჩატანილი მემორიალური დაფა, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზეა ამოკვეთილი შემდეგი სიტყვები: „რუსეთისაკენ სამეგობრო გზის თავადადებულ მკვლევებს ვახტანგ VI-ს და თეიმურაზ II-ს მადლიერი შთამომავლობისაგან“. უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტური ექსპედიციის ყოველ დღეს ფართოდ აშუქებდნენ გაზეთები, რადიო თუ ტელევიზია. ამიტომ იყო, რომ ასტრახანელები ქუჩაში შეხვედრისას გულთბილად გვესალმებოდნენ და წარდგენაც არ გვჭირდებოდა.

და როდესაც ასტრახანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა საგიტაციო ველოგადარბენა ასტრახან-მოსკოვ-ბრესტი დაიწყეს და გასაცილებლად ჩვენ მიგვიწვიეს, არ გაგვკვირვებია. ჟურნალისტურმა ექსპედიციამ ეტაფეტა გადასცა სტუდენტურ ექსპედიციას, ხოლო ჩვენმა ხელმძღვანელმა მათ ხელმძღვანელს ნაბადი მიართვა.

ამის შემდეგ ჟურნალისტური ექსპედიციის წევრები შეხვდნენ ასტრახანის ვ. ი. ლენინის სახელობის გემმშენებელ-შემკეთებელი ქარხნის მშრომელებს.

აქ გამართული საზეიმო მიტინგიც მეტად საინტერესო გამოდგა. ქარხნის მშრომელებმა ბევრი რამ იცოდნენ როგორც საქართველოს წარსულის, ისე დღევანდელი საგზოთა საქართველოს შესახებ.

ვტოვებთ ასტრახანს და თან მიგვყავს მადლიერების გრძნობა. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა ხალხმა ნამდვილი ძმობა და მეგობრობა იცის, რომ იციან როგორც წარსულის, ასევე დღევანდელობისა და მომავლის ფასი.

—●—

სურათებზე: ტრადიციული პურ-მარილით შეხვედრა; სიტყვას ამბობს ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რეშეტნიკოვი; ვახტანგ VI და თეიმურაზ II ძვალთშესალაგი, გაკეთებული 1979 წელს, მის გვერდით, მარცხნივ ექსპედიციის მიერ ჩატანილი თეთრი ფილა; ასტრახანის კრემლი, მიძინების ტაძარი.

ჯ. ჯიშკარიანის ფოტო.

ყალმუხეთის მიწაზე

კოჩუბეიდან არტეზიანისაკენ ტაატი მიმავალთ თვალწინ გადაგვშალა ნოიაის თვალუწვდენელი ველი, იწყება ყალმუხეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის სამხრეთი საზღვარი კუმა-მანიჩის ღრმულზე გადის. ყალმუხეთის ტერიტორია 76 ათას კვადრატულ კილომეტრს აღემატება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ნაკლებად არის ათვისებული, რაც გამოწვეულია ბუნებრივი პირობების თავისებურებით, ისტორიული განვითარებით და რესპუბლიკის გეოგრაფიული მდებარეობით. ყალმუხეთი ყველაზე გვალვიანი ადგილია მთელი რუსეთის ვაკეზე და ამიტომაც ნახევრად უდაბნოს ზონაში შედის.

ყალმუხები მონღოლური წარმოშობის ხალხია. ისინი ოდესღაც ჯუნგარიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ეს ტომი ციმბირსა და ყაზახეთის ველებს მოედო, ბოლოს ვოლგის შესართავამდეც მოაღწია, მოგვიანებით ვოლგისა და ურალის შუამდინარეთში მოთარეშე ტომების ნაწილი ეუნგარიაში დაბრუნდა. დასავლეთ ყალმიუხებმა კი რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე დააარსეს საკუთარი სახანო—ლამაიზმის (ბუდიზმის შტო) ერთადერთი კერა მთელ ევროპაში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყალმუხებმა მიიღეს ავტონომია. 1920 წელს შეიქმნა ყალმუხეთის ავტონომიური ოლქი, 1935 წელს — ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის ეკონომიკის მთავარი დარგია სოფლის მეურნეობა.

ყალმუხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ჩვენ გავიარეთ, ირგვლივ სანთლით რომ ეძებთ, ერთ ხესაც ვერ დალანდავთ. სამაგიეროდ, უზვადაა ჟანგისფერი ქვიშის დიუნები. თონეს ავთ გავარვარებულ მიწას ალმური ასდის. ნიავიც არ იძვრის. ჩვენგან ხელმარჯვნივ სულ ოცდაათ-ორმოც კილომეტრზე კი კასპიის ზღვა გადაჭიმულია. ზოგჯერ სუსტი ზღვაური წამოუქროლებს და გათანგულ ჰაერს სულს მოათქმევინებს. კასპიისპირა დაბლობზე ისეთი ადგილიც გვხვდება, რომელიც მსოფლიო ოკეანის დონეზე თითქმის ოცი მეტრით დაბლა მდებარეობს.

აგერ ანდრა-ათას ქვიშები, მალე მდინარე კუმის კალაპოტს გადავკვეთავთ. სასკოლო სახელმძღვანელოებიდან დაწყებული იმდენჯერ გვსმენია კუმის და მანიჩის სახელები, რომ ძალიან გვაინტერესებს მასთან შეხვედრა, საინტერესოა, რომ მდინარე კუმას მუდმივი სიგრძე არ გააჩნია და ხუთას-ექვსას კილომეტრს შორის მერყეობს სხვადასხვა სეზონში და ცვალებადია წყალუხვობის მხრივაც. იგი კავკასიონის ჩრდილო კალთებზე იბადება. სათავეში ვიწრო და ღრმა ხეობაში მიედინება, შუაწელში კი ფართო ხეობას ქმნის. კასპიისპირა დაბლობზე გასვლის შემდეგ, კუმა რამდენიმე ტოტად იყოფა. იგი თოვლისა და წვიმის წყლით იკვებება. კუმა დიდძალ ატივნარებულ მასალას შეიცავს, ამიტომ მისი წყალი ყოველთვის მღვრიე-მოყავისფროა. ახასიათებს გაზაფხულის წყალდიდობანი. კუმის წყალს ფართოდ იყენებენ სარწყავად, რისთვისაც აგებულია თერგ-კუმის სარწყავი არხის მთელი სისტემა. ამიტომ, როგორც წესი, კუმის წყალი ზღვამდე ვეღარ აღწევს. მდინარე, რომლის წყალშემკრები აუზი ოცდახუთიათას კვადრატულ კილომეტრს აღემატება, ისე დაჩიავებულა, რომ მისი წყალი ერთ ხელოვნურ არხს სანახევროდაც ვერ ავსებდა. იქვე, ჩრდილოეთ მდინარის ძველ ნახეობაში კი ბაწარწყინტელა, მარილიანი ტბებია შემორჩენილა.

ულან-ჰოლის კენ მიმავალ გზაზე (თუ ამას გზა ეთქმის) ორზეს ქვიშებში, გაოფლილი ცხენები ზანტად მიაკანტურებენ თავს. ბედაურებს ოხშივარი ასდით. წინმავალი ცხენის ფლოქვებისაგან ადენილი ყვითელპუდრა უსიამოვნოდ ეკვრის სხეულს.

ახლა ერმოლინის ქვიშებიც... აქ ნამდვილად ვიგრძენით, რომ უდაბნოს ლანდშაფტსაც თავისი განუმეორებელი სილამაზე აქვს. თერმომეტრზე ჰაერის ტემპერატურა ორმოცდაექვს გრადუსს აღწევს.

მომაჯადოებელია ალაბუგინის ტბა, მიუახლოვდები და სახტად დარჩები. ტბის ვერცხლისფრად მოლივლივე ტალღებზე ერთადერთი გედი გარინდულა. შორს, ჰორიზონტზე ულან-ჰოლის კონტურები ისახება.

ჯ. ჯიშკარიანი,
რ. გორჩაშვილი.

გზა შორეული, გზა სამერმისო

მხატვრულ-ისტორიული ამბავი

1725 წლის თებერვალში ვახტანგმა პეტრესაგან დედაქალაქში ჩასვლის ნებართვა მიიღო და პეტერბურგისაკენ დაიძრა.

ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგი კიდევ უფრო ჩაეჭიდა ბოდბელ გოლიათს, გვერდიდან ღარი იცილებდა. პეტერბურგში გამგზავრების სამზადისს რომ შეუდგა, შიოსაც უბრძანა თანხლება. წამოვიდეს, ფიქრობდა მეფე, იმპერატორმა თუ ვერ მოჰკრა თვალი, სხვები მაინც ნახავენ და დარწმუნდებიან, რომ ჯერაც არ დავცემულვართ და გადავშენებულვართო.

მაგრამ შიოს ვინღა ჩიოდა, ვახტანგმაც ვეღარ იხილა პეტრე დიდი. ქართველთა ელჩიონმა გზაზე შეიტყო იმპერატორის გარდაცვალება.

ეს მერამდენედ გაუფრინდა ვახტანგს ხელიდან იმედის ჩიტი. სანახევროდ იმედდაკარგულმა ელჩებმა ლამის ერთი წელი დაკავეს პეტერბურგში და იქაურ ცხოვრებას ღრმად გაეცნენ. ამალაში, თვით შიოს ჩათვლით, კაცი არ იყო, რომ ერთი-ორი ქვეყანა მაინც არ ჰქონოდა მოვლილი, მაგრამ პეტერბურგის ხილვამ ყველაზე წარუშლელი კვალი დატოვა.

რუსთა ახალმა ხელმწიფემ ეკატერინე პირველმა ქართველთა ელჩიონის ინტერესები, რა თქმა უნდა, საკუთარ ზრახვებს დაუმორჩილა. ვახტანგ მეფე ირანთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის როგორც თავისი ელჩი, სამხრეთით, დარუბანდსა და რეშტში გაგზავნა. პეტერბურგიდან მოსკოვს, მოსკოვიდან ასტრახანს, იქიდან სამხრეთში და პირიქით მოგზაურობებში კიდევ რვა ცივმა ზამთარმა გაიარა.

მოსკოვში დაბინავებული ბოდბელი გოლიათი გააბეზრა უქმად ყოფნამ. მტერი არ იყო, რომ ეჩხა, მიწა არ ჰქონდა, რომ ეთესა, დედა არ ჰყავდა, რომ გულის დარდი გაენდო.

შიო ადგილს ვეღარ პოულობდა.

თავი VIII

აკულინა

ერთხელ ბოდბელი გოლიათი როგორღაც მოსკოვის თოვლთანმა ქეიფებმა გაიტაცა. ალიზით ნაგებ და ისლით გადახურულ თეთრ სახლებს, დარაბები რომ დღენიადაგ მიხურული ჰქონდათ, ბოლო არ უჩანდა. მეჩხერ მესერს იქით ღორები ღრუტუნებდნენ, აქა-იქ კი ქრელი ძროხები ხმუოდნენ. ქუჩებში ცოტა ხალხი იყო, უმეტესად მარხილებით დაქროდნენ და გაუთავებლად წელავდნენ გარმონს. ის-ის იყო არბატის უბნის ერთ-ერთ ქუჩაზე შეუხვია, რომ კიბეი მოესმა. რომელღაც თურქ ვაჭარს ახალგაზრდა ქალისათვის ხელი ჩაეჭიდა და თავისკენ იზიდავდა, ქალი გაოფორებით ებრძოდა, შეაგულ ზამთარში უბის ღილკილოები ჩახსნოდა და ბროლივით თეთრი სავსე მკერდი მოუჩანდა. შიო ორი ნახტომით თურქს კისერში სწვდა და წიწილივით აიტაცა.

— ქრისტიანთან და ისიც ქალთან შენ რა ხელი გაქვს, — დასჭექა დამფრთხალ თურქს მისსავე ენაზე ბოდბელმა. მერე ცარიელ ტომარასავით ჩამობერტყა და იქვე მიაგდო.

ქალი უცნობი მხსნელის გამოჩენაზე გათამამდა და აფთარივით ფრჩხილებით მიეტანა მოძალადეს. შიოს გაკაპასებული ქალის დანახვაზე ოდნავმა ღიმღმა გადაკრა სახეზე და ქალის დამშვიდებას შეეცადა. ქალისა და შიოს თვალები ახლოა შეხვდნენ ერთმანეთს. დიაცს სახეზე სიწითლემ გადაკრა, საკინძე შეიკრა და გაოცებით შეხედა მის წინ მთასავით ატუხულ ბოდბელს. ცისფერი თვალები და თავსაბურავიდან გამოშლილი ოქროსფერი თმა ჰქონდა ქალს, შიოს ლამის მკერდამდე სწვდებოდა.

—რაო, შეგაშინა ამ თურქმა? — შეეკითხა შიო.

— ეგ ღორი ეგა, მე მაგას ვუჩვენებ სეირს, — თამამობდა თურქის მკლავებიდან დახსნილი დიაცი,—შენ ვინა ხარ, ახლა, იქნებ, შენ გინდა, რომ თვალები ამოგკორტნო. ჰა, პასუხი გამეცი.

— ნუ ცხარობ ქალო, მე ქართველი ვარ და ქალთან ძალადობისა რა მჯირს. მაგ ურჯულოს მაგად კი არ გამოგტაცე!

— შენ რა რჯულისა ხარ?

აკულინა.

— ქრისტიანი, მართლმადიდებელი ვარ შენსავით.

— ჰო? — დაწყნარდა ქალი, — ქრისტიანო, მაშინ, იქნებ სახლამდე მიმაცილო? შობლებს უნდა ვაჩვენო შენი თავი. კეთილი ადამიანები არიან. ღარიბულად გიმასპინძლებენ. რა გქვია?

— შიო. შენა?

— მე აკულინა მქვია, აკულინა გრიგორევნა.

— მაშ წამოვალ შენს ხატაში, აკულინა, შენიანებსაც გავიცნობ. მეც უბრალო ოჯახის შვილი ვარ.

...შიოს დაბალ კარში შეუძვრნენ და ყველაზე მკვიდრად ნაკეთი სკამი დაუდგეს. შიომ ბნელი ოთახი მოათვალიერა. ტახტივით განიერი და ტახტზე ერთიორად მაღალ ბუხარში ცეცხლი დაენთოთ, რომელიც უფრო ანათებდა ოთახს, ვიდრე გაქონილქაღალდიანი მცირე სარკმელი.

აკულინამ და დედამისმა, ფარფაშა ქალმა ანფისამ კარადიდან თეფშები და არაყი გამოიღეს, მერე ახალმოწველილი რძით სავსე ქილა დადგეს მაგიდაზე.

— ოჯახი დაგელოცოთ, მტერი მოგაკლოს და მოყვარე გიმრავლოს, წმინდა გიორგი გაყავდეს შვილად, — მიმართა შიომ მასპინძელს და არაყი დალია.

აკულინას მაგიდაზე იდაყვები დაეყრდნო, ლამაზი თავი ხელის გულებში მოექცია და ოცნების თვალით შეჰყურებდა ბოდბელს, რომელიც არყის ყოველ გამოცლაზე ტუჩებს კუშავედა. ახალგაზრდა ქალმა თანდათან აღმოაჩინა, რომ შიო არაფრით არ ჰგავდა არც მის ძმებს და არც ვეება მათეს, უფრო მკაცრი, ჭკვიანი და თავშეკავებული იყო, სიტყვაპასუხიც ისეთი ჰქონდა, ნასწავლ კაცს რომ შეეფერებოდა. შიოსაც თვალში მოუვიდა რუსის დიაცი, რომელიც ახლა სულ აღარ გავდა თურქ ვაჭართან გაკაპასებულ ქალს. ის კი არადა, მასში ხელნელა საოცარი სინაზე და სილამაზეც აღმოაჩინა.

მალე შიოც ფეხზე წამოდგა და ოჯახის წევრებს დაემშვიდობა.

— ეგების, ხშირად შემოგვიარო, ვაჟკაცო, — ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა მოვყვეთ. ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა შენთვის, ჩემს ჯალაბსაც ძალიან მოეწონე, — უთხრა აკულინას მამამ და მერე ქალიშვილს

საკურორტო ზაფხული-81

„დიმიტრი შოსტაკოვიჩი“ ბათუმის ნავსადგურში

დადგა საკურორტო ზაფხული და შავ ზღვაზე ჩამოსული ათასობით დამსვენებელი მოგზაურობს საინტერესო მარშრუტით ბათუმ-ოდესა-ბათუმი კომფორტული საოკეანო ლაინერებით.

სამგზავრო გემების ფლოტილიას ახლახან შეემატა ახალი ხომალდი „დიმიტრი შოსტაკოვიჩი“. ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილია საოკეანო ლაინერი „დიმიტრი შოსტაკოვიჩი“, რომელმაც დამსვენებელთა დიდი ჯგუფი ჩაიყვანა საბჭოთა აჭარის დედაქალაქში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

მასპინძლობს „მეგობრობის“ თეატრი

ჩვენი სტუმრები ვახტანგოველები არიან

ორი საღამო—30 და 31 ივლისს გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სცენა დაეთმობა მოსკოვის ე. ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებს. ასე დამთავრდება ამ სახელგანთქმული კოლექტივის გამოსვლები. რომელიც ერთი თვის განმავლობაში „მეგობრობის“ თეატრის მოწვეეთი გასტროლებზე იყო საქართველოში. მას ტაში უკრავდნენ სოხუმელი, გაგრელი, გუდაუთელი, ბიჭვინთელი, ბათუმელი, ქობულეთელი, ბორჯომელი, ცხინვალელი, რუსთაველი მაყურებლები.

ვახტანგოველებმა მათ უჩვენეს მ. ზოშენკოს ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ვერაგობა, ფული და სიყვარული“. ამ სპექტაკლს უჩვენებენ თბილისელებსაც. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ვიაჩესლავ შალევიჩმა, რომელიც სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. მაყურებელი გაეცნობა აგრეთვე რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის ლუდმილა ცელიკოვსკაიას, მსახიობების მარინე ვერტინსკაიას, მიხეილ ვორონკოვის საშემსრულებლო ხელოვნებასაც.

ვახტანგოველების კეთილი ტრადიციაა თავიანთი სპექტაკლები უჩვენონ იმ ქალაქების დიდ სამეუწველო საწარმოებში, სადაც ისინი საგასტროლოდ გამოდიან. მსახიობებმა ამ ტრადიციას არც თბილისში უღალატეს. ისინი თავიანთ ნამუშევარს უჩვენებენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ მუშებს.

ერთი თვის შემდეგ „მეგობრობის“ თეატრი ისევ მიიპატიჟებს მაყურებელს — 6 სექტემბრიდან თბილისში საგასტროლოდ ჩამოვა მოსკოვის მცირე თეატრი. იგი წარმოადგენს თავისი რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლებს. გაიმართება აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტების ელენე გოგოლევას, მიხეილ ცარიოვის, იგორ ილინსკის, საბჭოთა სცენის სხვა სახელმოხვეჭილ ოსტატთა შეთამაშებითი საღამოები. შემდეგ მოსკოველები თბილისის სცენას დაუთმობენ ვილნიუსის ფოლკლორული თეატრის კოლექტივს. (საინფორმი).

ᲧᲐᲒᲐᲩᲘ
ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ბუქარესტში გრძელდება სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა. დღე არ გავა, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა ახალახალი წარმატებები არ მოიპოვონ.

მძლეოსნებმა უკვე დაამთავრეს შეჯიბრება. ამ სახეობაში გათამაშდა მედლების 39 კომპლექტი. წარმატებისათვის 59 ქვეყნის 477 სპორტსმენი იბრძოდა. საბჭოთა მძლეოსნებმა მოიპოვეს 11 ოქროს, 10 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედალი. ოქროს მედალი ამერიკელებმაც მიიღეს, ვერცხლისა კი მხოლოდ 6.

კოშკიდან წყალმხტომელთა შორის თბილისელმა ლიანა ცოტაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა — 411,27 ქულა. მას წინ გაუსწრეს ჩ. სიაოსიამ (ჩინეთი, 471,72), ლ. იხუამ (ჩინეთი, 421,32) და მ. მატიუშენკომ (სსრ კავშირი, 421,23).

ᲩᲘᲕᲐᲫᲔ, ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲡᲐᲔᲕᲘ...

მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტიანი საფეხბურთო ჟურნალის „უერლდ სოკერის“ (ინგლისი) ივლისის ნომრის ყდას თბილისის „დინამოს“ ფერადი ფოტო ამშვენებს, მესამე გვერდზე კი ჟურნალი თავის მკითხველს მოკლედ მოუთხრობს ჩვენი გუნდის შესახებ. პატარა წერილში ლაპარაკია არა მარტო დინამოელთა წლევანდელ წარმატებებზე, არამედ 1979 წელს „ლეგრპულთან“ ჩატარებულ მატჩებზეც.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა არა უშუალოდ „დინამოსადმი“ მიძღვნილი პატარა წერილი, არამედ ცნობილი სპორტული ჟურნალისტის ერიკ ბეტის სტატია ეელისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ამასწინანდელ შეხვედრაზე.

სტატიის დასაწყისში ბეტი თამაშის მსვლელობას აღწერს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრებს გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა, თუმცა დიდი უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა. შემდეგ ბეტი მსჯელობს კიევის „დინამოს“ და სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელის ოლეგ ბლოხინის თამაშზე. მისი აზრით, ბლოხინმა დაკარგა თავისი საუკეთესო თვისებები. „მართალია, 29 წლის ბლოხინი ჯერ კიდევ ვარსკვლავია კიევის „დინამოში“, მაგრამ არა მგონია, ნაკრებში კიდევ დიდხანს ითამაშოს. მით უმეტეს, თუ მწვრთნელები ახალგაზრდა თავდამსმელს იპოვნიან, რომელსაც გოლების გატანა შეეძლებაო“, — წერს ბეტი. „ასე რომ, თუმცა ბლოხინი, შესაძლოა ყველაზე სახელოვანია საბჭოთა ფეხბურთში, მე სამი სხვა ფეხბურთელი მიმაჩნია უძლიერესად, რომლებიც ამავე დროს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებიც იყვნენ.

ჩემს სიაში პირველი თბილისელი ალექსანდრე ჩივაძეა. იგი ბრწყინვალე მცველია, რომელიც თითქმის არასოდეს არ კარგავს ბურთს არც მიწაზე და არც ჰაერში. როცა საჭირო იყო, ის მუდამ მზად იყო სხვების დასაზღვევად და რამდენიმეჯერ ფრანც ბეკენბაუერივით ხან ბურთით და ხან უბურთოდაც სახიფათოდ გავიდა წინ.

მატჩის საუკეთესო თავდამსხმელად მიმაჩნია ყიფიანი, რომელიც ერთთავად მშვიდი, მარჯვე და საზრიანი იყო. იგი ახლა 30 წლისაა, და მართალია, 1980 წელს ნაკრების მაისური ერთხელაც არ ჩაუცვამს, ამჟამად ისე კარგად თამაშობს, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე აუცილებლად უნდა დარჩეს სსრ კავშირის ეროვნულ გუნდში. თუ ეს კოლექტივი ესპანეთში წავა, სულაც არ გამიკვირდება ყიფიანმა იქაც დიდად რომ გამოიჩინოს თავი“.

აი, როგორ აფასებს ერიკ ბეტი ჩივაძისა და ყიფიანის თამაშს, მესამე საბჭოთა ვირტუოზად მას მეკარე რენატ დასაევი მიაჩნია, რომელსაც „თუმცა მხოლოდ ორი თუ სამი ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ სამაგიეროდ ბრწყინვალედ ითამაშა გამოსვლებზე“.

დ. კაკაბაძე.

მეორე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის ოცდამეშვიდე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: ნახიჩევანის „არაზი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 1:0, ოქტემბერიანის „სპარტაკი“-ფოთის „კოლხეთი“ — 5:1, კიროვაბადის „პროგრესი“-სოხუმის „დინამო“—3:3, მინგეჩაურის „ავტომობილისტი“-აბოვიანის „კოტაიკი“ — 2:4, თბილისის „ლოკომოტივი“-აშხაბადის „კოლხაზი“ — 2:2, ლენინაკანის „შირაკი“-ბათუმის „დინამო“ — 1:0, რუსთავის „მეტალურგი“-სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 1:2.

ამ ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერი — აბოვიანის „კოტაიკი“ საგრძნობლად დაწინაურდა, ახლა მას 44 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ სამტრედიის „ლოკომოტივს“ 5 ქულით გაუსწრო.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-82 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე

მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ლითონის ჭრით დამუშავება; სამრეწველო მოწყობილობათა მონტაჟი და რემონტი; სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; რადიოაპარატურის შენებლობა; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება. შესაბამისი სპეციალობის საჭირო კვალიფიკაცია და პედაგოგიური საქმიანობისადმი მიდრეკილება. მათ შორის: საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები, საწარმოების და სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებსაც აქვთ სპეციალობა შესაბამისი მუშაობის სტაჟით, 1981 წელს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომელთაც აქვთ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება ყველა საგანში და რომლებმაც საკვალიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს წარჩინებით, სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაციით.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან: ლითონების ჭრით დამუშავების სპეციალობაზე — ხარატები, მღარავები; სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟისა და რემონტის სპეციალობაზე — ხურეები, დურგლები, კალატოზები, კონსტრუქციის შემონტაჟე კალატოზები, შემლესავმღებავები; რადიოაპარატურის მშენებლობის სპეციალობაზე — რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე შემკეთებლები, რადიომექანიკოსები, ენერგეტიკული, ელექტროტექნიკური და ელექტროხელი წარმოების შემკეთებლები და მომსახურე ელექტრომონტიორები; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე — მე-3 კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეები, ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა; მესამე თანრიგის შემკეთებელი ზეინკლები, სატრაქტორო-საველე ბრიგადების ბრიგადირები, სამანქანო სატრაქტორო პარკის ტექნიკური მოვლის გამმართველი ოსტატები.

ტექნიკუმში შემსვლელები გამოცდებს აბარებენ:

საკვალიფიკაციო სინჯი (შესაბამის სპეციალობაში); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (ზეპირი).

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე (ფორმა № 2); ატესტატი. საშუალო განათლების შესახებ (დედანი); ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური ან ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ ან სპეციალობის ცნობა წარმოებიდან; სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაცია; დახასიათება სასწავლებლიდან ან წარმოებიდან; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286); ფოტოსურათი 3X4 (გადაღებული უქუდოდ); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას ტექნიკუმში შემსვლელი წარადგენს პირადად.

საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს ფრიადოსნის დიპლომი, ტექნიკუმში ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების გარეშე.

საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებთაც ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში აქვთ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება და საწარმოო სწავლებაში — „ფრიადი“ შეფასება, საკვალიფიკაციო გამოცდას სპეციალობაში არ აბარებენ.

სახუთები მიიღება 8 აგვისტომდე, ხოლო მისაღები გამოცდები გაიმართება 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩაირიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სტიპენდიით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ორჯონიკიძის ქ. № 49;

ტელ. 95-15-51, 95-89-58, 95-35-85.

ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲒᲔᲗ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ 1981 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 1981 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ Დ. ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ- ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ 288.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ 79 ᲜᲘᲕᲗᲘᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ 159.921 ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲮᲕᲓᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
19211	397*)	30 მანეთი	—
19220	317*)	20 მანეთი	—
19223	077*)	25 მანეთი	—
19225	056*)	45 მანეთი	—
19253	148*)	20 მანეთი	—
19262	434*)	30 მანეთი	—
19266	347*)	25 მანეთი	—
19267	305*)	20 მანეთი	—
19283	135*)	მტვერსასრუტი	37—00
19288	475*)	40 მანეთი	—
19294	356*)	20 მანეთი	—
19299	484*)	20 მანეთი	—
19302	349*)	25 მანეთი	—
19304	159*)	45 მანეთი	—
19321	299*)	25 მანეთი	—
19323	246*)	30 მანეთი	—
19329	169*)	30 მანეთი	—
19336	441*)	50 მანეთი	—
19362	247*)	50 მანეთი	—
19365	295*)	20 მანეთი	—
19388	172*)	20 მანეთი	—
19389	385*)	30 მანეთი	—
19391	234*)	30 მანეთი	—
19431	094*)	20 მანეთი	—
19434	166*)	25 მანეთი	—
19438	084*)	100 მანეთი	—
19467	352*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
19477	018*)	30 მანეთი	—
19506	354*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
19519	1—500	10 მანეთი	—
19525	399*)	30 მანეთი	—
19529	133*)	30 მანეთი	—
19537	369*)	100 მანეთი	—
19552	478*)	მაცივარი „ზილი“	370—00
19563	471*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
19577	094*)	45 მანეთი	—
19578	399*)	30 მანეთი	—
19594	199*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
19597	145*)	50 მანეთი	—
19602	072*)	30 მანეთი	—
19604	334*)	45 მანეთი	—
19613	168*)	45 მანეთი	—
19640	084*)	ელექტროსამოვარი	21—00
19670	001*)	20 მანეთი	—
19676	256*)	20 მანეთი	—
19683	180*)	20 მანეთი	—
19688	108*)	30 მანეთი	—
19698	078*)	ფოტოაპარატი „ზენიტი“	101—00
19700	083*)	ავტომობილი „ეიგული—2106“	9100—00
19715	482*)	20 მანეთი	—
19720	248*)	ავტომანქანა „ეიგული—2106“	9100—00
19726	421*)	30 მანეთი	—
19730	011*)	20 მანეთი	—
19775	290*)	20 მანეთი	—
19776	060*)	20 მანეთი	—
19793	438*)	30 მანეთი	—
19824	414*)	30 მანეთი	—
19829	340*)	20 მანეთი	—
19841	282*)	ელექტროსამოვარი	21—00
19845	181*)	50 მანეთი	—
19855	479*)	30 მანეთი	—
19860	424*)	30 მანეთი	—
19862	078*)	20 მანეთი	—
19888	166*)	25 მანეთი	—
19897	408*)	30 მანეთი	—
19935	488*)	20 მანეთი	—
19939	262*)	ხალიჩა	320—00
19959	041*)	100 მანეთი	—
19961	320*)	30 მანეთი	—
19964	019*)	30 მანეთი	—
19982	130*)	30 მანეთი	—
19983	046*)	30 მანეთი	—
19988	014*)	20 მანეთი	—
19994	246*)	500 მანეთი	—
19999	423*)	ელექტროსამოვარი	21—00
20026	327*)	30 მანეთი	—
20033	441*)	20 მანეთი	—
20055	311*)	20 მანეთი	—
20062	029*)	30 მანეთი	—
20092	260*)	50 მანეთი	—
20132	428*)	30 მანეთი	—
20152	432*)	30 მანეთი	—
20155	372*)	20 მანეთი	—
20173	052*)	30 მანეთი	—
20181	110*)	20 მანეთი	—
20183	316*)	30 მანეთი	—
20190	287*)	30 მანეთი	—
20194	308*)	25 მანეთი	—
20217	288*)	20 მანეთი	—
20222	093*)	20 მანეთი	—
20252	210*)	30 მანეთი	—
20264	095*)	100 მანეთი	—
20279	402*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20288	429*)	30 მანეთი	—
20294	222*)	30 მანეთი	—
20328	080*)	20 მანეთი	—
20329	278*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
20343	145*)	20 მანეთი	—
20352	041*)	30 მანეთი	—
20373	320*)	45 მანეთი	—
20382	053*)	25 მანეთი	—
20385	242*)	20 მანეთი	—
20387	331*)	30 მანეთი	—
20388	024*)	ელექტროსამოვარი	21—00
20389	074*)	50 მანეთი	—
20396	463*)	25 მანეთი	—
20409	090*)	30 მანეთი	—
20410	258*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
20421	342*)	25 მანეთი	—
20428	235*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
20432	176*)	30 მანეთი	—
20436	498*)	50 მანეთი	—
20452	403*)	30 მანეთი	—
20457	418*)	50 მანეთი	—
20460	445*)	20 მანეთი	—
20483	003*)	30 მანეთი	—
20501	489*)	ელექტრომიქსერი	24—00
20506	233*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20524	461*)	20 მანეთი	—
20533	333*)	20 მანეთი	—
20539	435*)	მტვერსასრუტი	37—00
20541	305*)	მტვერსასრუტი	37—00
20568	169*)	50 მანეთი	—
20583	076*)	ელექტროსამოვარი	21—00
20585	232*)	30 მანეთი	—
20601	038*)	20 მანეთი	—
20608	249*)	ხალიჩა	320—00
20611	187*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20638	491*)	30 მანეთი	—
20660	265*)	50 მანეთი	—
20661	078*)	30 მანეთი	—
20664	371*)	20 მანეთი	—
20672	394*)	25 მანეთი	—
20679	186*)	ავტომანქანა „ეიგული—21011“	7300—00
20699	093*)	20 მანეთი	—
20700	320*)	45 მანეთი	—
20701	055*)	20 მანეთი	—
20707	167*)	30 მანეთი	—
20710	313*)	100 მანეთი	—
20714	390*)	მტვერსასრუტი	37—00
20729	162*)	ელექტროსამოვარი	21—00
20730	428*)	30 მანეთი	—
20731	124*)	25 მანეთი	—
20750	076*)	25 მანეთი	—
20756	122*)	30 მანეთი	—
20759	014*)	30 მანეთი	—
20771	053*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20781	104*)	ელექტროსამოვარი	21—00
20785	461*)	30 მანეთი	—
20788	337*)	20 მანეთი	—
20792	1-500	15 მანეთი	—
20796	489*)	30 მანეთი	—
20806	455*)	20 მანეთი	—
20835	385*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20845	119*)	20 მანეთი	—
20851	063*)	30 მანეთი	—
20866	174*)	ფოტოაპარატი „ზენიტი“	101—00
20893	386*)	50 მანეთი	—
20898	282*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
20899	338*)	ელექტრომიქსერი	24—00
20900	055*)	ხალიჩა	320—00
20909	053*)	250 მანეთი	—
20910	034*)	30 მანეთი	—
20914	019*)	ფოტოაპარატი „ზენიტი“	101—00
20927	009*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20938	497*)	ელექტროსამოვარი	21—00
20949	049*)	30 მანეთი	—
20958	144*)	45 მანეთი	—
20957	083*)	45 მანეთი	—
20962	063*)	ელექტროსამოვარი	21—00
20971	076*)	30 მანეთი	—
20983	437*)	250 მანეთი	—
20990	1-500	15 მანეთი	—
20995	098*)	ხალიჩა	320—00
20999	197*)	20 მანეთი	—
21000	405*)	45 მანეთი	—
21011	006*)	მაცივარი „ზილი“	370—00
21031	102*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
21052	491*)	25 მანეთი	—
21071	217*)	45 მანეთი	—
21074	084*)	100 მანეთი	—
21075	062*)	30 მანეთი	—
21078	333*)	20 მანეთი	—
21089	379*)	50 მანეთი	—
21090	092*)	ავტომობილი „ეიგული-2101“	6600—00
21095	428*)	25 მანეთი	—
21100	250*)	ელექტროსამოვარი	21—00
21114	062*)	45 მანეთი	—
21129	250*)	20 მანეთი	—
21160	338*)	20 მანეთი	—
21188	269*)	20 მანეთი	—
21189	416*)	45 მანეთი	—
21194	165*)	20 მანეთი	—
21233	359*)	30 მანეთი	—
21235	029*)	100 მანეთი	—
21248	482*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
21251	163*)	მაცივარი „ზილი“	370—00
21261	162*)	გაზქურა „ბრესტი“	130—00
21265	160*)	100 მანეთი	—
21267	415*)	ხალიჩა	320—00
21283	284*)	50 მანეთი	—
21289	443*)	50 მანეთი	—
21360	252*)	45 მანეთი	—
21372	009*)	30 მანეთი	—
21376	262*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
21384	078*)	45 მანეთი	—
21386	1-500	10 მანეთი	—
21388	308*)	20 მანეთი	—
21399	318*)	30 მანეთი	—
21444	389*)	45 მანეთი	—
21446	085*)	30 მანეთი	—
21460	122*)	30 მანეთი	—
21467	060*)	20 მანეთი	—
21470	256*)	100 მანეთი	—
21475	399*)	100 მანეთი	—
21479	312*)	50 მანეთი	—
21489	089*)	25 მანეთი	—
21501	031*)	25 მანეთი	—
21512	122*)	30 მანეთი	—
21515	328*)	30 მანეთი	—
21516	300*)	45 მანეთი	—
21518	402*)	30 მანეთი	—
21537	392*)	ელექტროსამოვარი	21—00
21540	500*)	20 მანეთი	—
21567	107*)	20 მანეთი	—
21568	453*)	20 მანეთი	—
21571	223*)	50 მანეთი	—
21574	360*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
21593	068*)	25 მანეთი	—
21598	172*)	100 მანეთი	—
21603	301*)	ხალიჩა	320—00
21607	173*)	20 მანეთი	—
21608	400*)	20 მანეთი	—
21610	469*)	20 მანეთი	—
21616	357*)	20 მანეთი	—
21624	359*)	ავტომანქანა „ეიგული—2101“	6600—00
21635	431*)	25 მანეთი	—
21636	275*)	20 მანეთი	—
21669	365*)	30 მანეთი	—
21670	409*)	კონდიციონერი	430—00
21671	053*)	30 მანეთი	—
21719	069*)	ელექტროსამოვარი	21—00
21739	258*)	30 მანეთი	—
21740	459*)	20 მანეთი	—
21743	493*)	30 მანეთი	—
21744	047*)	20 მანეთი	—
21753	468*)	ავტომანქანა „ეიგული—2106“	9100—00
21766	144*)	20 მანეთი	—
21769	246*)	30 მანეთი	—
21770	230*)	50 მანეთი	—
21772	196*)	20 მანეთი	—
21793	444*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
21801	214*)	20 მანეთი	—
21803	198*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
21817	053*)	30 მანეთი	—
21839	044*)	25 მანეთი	—
21864	422*)	20 მანეთი	—
21868	061*)	20 მანეთი	—
21882	487*)	მტვერსასრუტი	37—00
21883	284*)	30 მანეთი	—
21901	380*)	20 მანეთი	—
21904	256*)	20 მანეთი	—
21917	207*)	100 მანეთი	—
21936	180*)	30 მანეთი	—
21941	125*)	30 მანეთი	—
21955	042*)	20 მანეთი	—
21957	495*)	20 მანეთი	—
21966	312*)	ავტომანქანა „ვოლგა გაზ—24“	15000—00
21985	487*)	20 მანეთი	—
21986	404*)	20 მანეთი	—
21990	237*)	ელექტროსამოვარი	21—00
22002	196*)	20 მანეთი	—
22020	041*)	გაზქურა „ბრესტი“	130—00
22021	193*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
22022	485*)	კონდიციონერი	430—00
22031	003*)	30 მანეთი	—
22032	126*)	ავტომანქანა „ეიგული—2106“	9100—00
22040	102*)	30 მანეთი	—
22045	391*)	30 მანეთი	—
22046	319*)	ხალიჩა	320—00
22055	092*)	20 მანეთი	—
22056	391*)	ავტომობილი „ეიგული—21011“	7300—00
22061	066*)	20 მანეთი	—
22087	038*)	30 მანეთი	—
22094	109*)	მაცივარი „ზილი“	370—00
22096	354*)	20 მანეთი	—
22106	466*)	30 მანეთი	—
22114	286*)	მტვერსასრუტი	37—00
22117	150*)	20 მანეთი	—
22123	075*)	მტვერსასრუტი	37—00
22130	328*)	45 მანეთი	—
22135	236*)	30 მანეთი	—
22148	092*)	ელექტროსამოვარი	21—00
22152	484*)	მტვერსასრუტი	37—00
22172	225*)	20 მანეთი	—
22196	089*)	30 მანეთი	—
22212	445*)	20 მანეთი	—
22214	420*)	30 მანეთი	—
22215	497*	30 მანეთი	—
22241	445*)	20 მანეთი	—
22243	289*)	45 მანეთი	—
22253	432*)	30 მანეთი	—
22257	282*)	ელექტროსამოვარი	21—00
22264	044*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
22276	177*)	25 მანეთი	—
22292	192*)	მაცივარი „ზილი“	370—00
22295	045*)	100 მანეთი	—
22308	308*)	25 მანეთი	—
22316	469*)	20 მანეთი	—
22326	046*)	45 მანეთი	—
22339	079*)	25 მანეთი	—
22345	178*)	30 მანეთი	—
22347	325*)	მაცივარი „მინსკი“	375—00
22348	362*)	ხალიჩა	320—00
22352	029*)	მაცივარი „ზილი“	370—00
22360	393*)	ელექტროსამოვარი	21—00
22364	487*)	20 მანეთი	—
22369	466*)	20 მანეთი	—
22376	323*)	30 მანეთი	—
22385	461*)	30 მანეთი	—

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის ნომერი“ აღნიშნულია 1—500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასხავა ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის აღდგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

**1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი ს